№ XII.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

ჟურნალ „ჯეჯილისა:“

		გვ.
I.	სურათი ლექსი დუტუ მეგრელისა	3
II.	მიტოვებულნი (ვიქტორ ჰიუგოსი) ან. წ—სა . . .	4
III.	მოსწავლეთა შუამდგომლობა (დასასრ.) ს. ციციშვილისა	8
IV.	პატარა ნებიერი (ამბავი) ან. ერისთავ-ხოშტარიასი . .	19
V.	კოდალა (ამბავი) თ. რაზიკაშვილისა	24
VI.	გულმა გული იცნო (რუსულადან) ან. წ—ისა . .	44
VII.	„მეფე მიდასს ღორის ყურები გამობმია!“ (ოვიდიუსიდან) ა. ეუმისთაველისა	50
VIII.	პატარა მკითხველების წერილები	54
IX.	წერილმანი: აკროსტიხი, ანდაზები, გამოცანები, ზმა, ჩქარა გამოსათქმელი, ანაგრამა, რებუსი და სხვა.	55
X.	სარჩევი 1900 წ. ჟურნალ „ჯეჯილისა“	60
XI.	განცხადებები.	

ეროვნული
ბიბლიოთეკა

9211.

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

იზარდე, მწვანე ჯეჯილო,
დაპურდი, გახდი ყანაო!..
ი. დ.

№ XII.

წელიწადი მეთორმეტე

თბილისი
სტამბა ექვთიმე ივანეს ძე ხელაძისა ლორის-მელიქოვის ქ.
1900

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Дозволено цензурою. Тифлисъ, 1-го Дѣкабря 1900 г.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სურათი

ციურ მადლით ცხებულ ქალწულს
მშვენიერი ერმა უჭირავს
და ნეტარებს ბედნიერი,
თვალზე ცრემლი თან უბრწყინავს.

ხარობს, რომ ხვდა ქალთა შორის
რჩეულს ბედი საკვირველი:
ვინც მის შვილათ დაიბადა
თვით ქრისტეა, ქვეყნის მხსნელი.

მაგრამ ამ დროს მომავალი
ეხატება თვალ წინ მწარე,
ვეღარ ითმენს და უნებლივ
გადმოსდება ცრემლი ცხარე!

ბედნიერი, უბედური,
ორგვარ გრძნობით იმსჭვალება:
ვით ღვთის-მშობელს, უხარია
და, ვით დედა, იტანჯება!..

დუტუ მეგრელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიტოვებულნი

(ვიქტორ ჰიუგოსი)



ერთხელ, როდესაც ლიუქსენბურგის ბაღში დავსეირნობდი, შევხვდი ორ ემაწვილს სელი-ხელ გაურილს. ერთი შვიდი წლისა იქნებოდა და მეორე ხუთისა. რადგან ორივენი წვიმისაგან გაწუწულიყვენ, უფრო მზიან ადგილს ეტანებოდენ. უფროსს მოჰყვანდა უნცროსი. ემაწვილები ძონძებში იყვენ გახვეული, ჰატარა სახეები ფერ-მკრთალი ჰქონდათ და დაშინებული ჩიტებივით გამოიყურებოდენ.

უნცროსი წამდაუწუმ იმეორებდა: „მშიანო...“

უფროსი მფარველობას უწევდა ჰატარა ძმას, მარცხენა ხელით მაგრა ეჭირა მისი ხელი, მარჯვენაში კი ჯოხი ეკავა.

წინა დღით ეწვიმა და ამ დღეს დილითაც წვიმდა, მაგრამ მკათათვეში ხანგრძლივი არ არი წვიმა. ჭექა-ქუხილის შემდეგ საათიც კმარა, რომ გაშრეს არე-მარე და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშინ ვერც კი ვერავინ წარმოიდგენს, რომ ეს მოკაშკაშე შვენიერი დღე დილით იცრემლებოდა. ზაფხულში დასვე ლებული დედა-ძიწა ისე მალე შრება, როგორც ბავშვის ლოყები ცსარე ტირილის შემდეგ...

მაწანწალა ბავშვები მივიდენ დიდ აუზთან და ცდი-ლობდენ მიმალულიყვენ იქით, სადაც გედების ჰატარა სა-ხლი იდგა.

თითქმის იმავე დროს აუზს მიუახლოვდენ სხვა ორი ვიღაც ადამიანი, ორმოცდა-ათი წლის ბატონი, რომელსაც მიჰყვანდა ჰატარა ექვსი წლის ვაჟბატონი. ეტყობოდა რომ მამა-შვილნი იყვენ. ექვსი წლის ვაჟბატონს ხელში ვეება შაქრის ჰური ეჭირა. ორი ჰატარა მაწანწალა ჰირ-დაღე-ბული და უყურებდენ მომავალს ჰატარა ვაჟბატონს და თანაც უფრო და უფრო იმალებოდენ.

მამა და შვილი შედგენ აუზთან, სადაც ორი მშვე ნიერი, ნარნარი გედი დაცურავდა. ეტყობოდა ამ ხარიხსოვან ბატონს ძალიან უყვარდა გედები. ის თითქო კიდეც ჭკვავდა იმათ, მათსავით ამაყათ და ყელ-ამოღერებით უახლოვდე-ბოდა აუზს.

ორივე გედი ნარნარათ და ლამაზათ დაცურავდენ, რო-გორც საზოგადოთ გედებს ჩვევიათ. მათი ამაყათ მოხრი-ლი კისერი და ჭაღოვანი მიმოხვრა სწორეთ ხიბლავდა მაყურებლებს.

ამ დროს ჰატარა ბატონმა შაქრის ჰური მოკბიჩა, მაგრამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლუკმა ისევ გამოაგდო პირიდან და უცბათ ტირილი ამოუძვა.

— რას ტირი?—ჰკითხა მამამ.

— არ მინდა ჭამა, არა მშიან, გამამძღარი ვარ.—უპასუხა ბავშვმა.

— შაქრის პური ხომ ტკბილია...

— მომბეზრდა. ფაშარია.

— მაშ არ გინდა ჭამო?

— არა.

— გადუგდე გედებს.

ბავშვი ეოუმანობდა. არც შეჭმა უნდოდა შაქრის პურისა და კიდეც ენანებოდა მისი სხვისთვის მიცემა. მამამ უთხრა:

— კეთილი უნდა იყო, პირუტყვები უნდა შეიბრალოო.

გამოართვა ბავშს შაქრის პური და აუზში ჩააგდო.

შაქრის პური აუზის ნაპირას ჩავარდა.

— წამო სახლში.—უთხრა მამამ შვილს.

ჩვენი პატარა მაწანწალები და გედები ერთ დროს მიუახლოვდენ შაქრის პურს. უნცროსი ემაწვილი დააშტერდა წყალში მოტივტივე შაქრის პურს, უფროსი კი თვალს აყოლებდა მიმავალს დიდ ბატონს.

მამა-შვილმა შეუხვიეს ხეივანს და მიეფარნენ ხეებს. როგორც კი მიიმალნენ ისინი—უფროსი ემაწვილი გაწვა აუზის ქვის ნაპირას, მარცხენა ხელით ამ აუზის ქვას მოეჭიდა, ისე გადიწია, თითქოს ახლავე ჩავარდება აუზშიო და მარჯვენა ხელით ჯოხი გაუწვდინა შაქრის პურს. გე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ებმა რომ დაინახეს მტერი, შრიალი შეჭქნეს და გაჩქარებით გასწიეს წინ, მაგრამ ამით უფრო დაეხმარენ ემაწვილს, წუალი გედების წინ უკუ-იქცა და ერთმა ჰატარა ტალღამ ისე წაჭკრა შაქრის ჰურს, რომ ის ჯოხისკენ გაექანა. სანამ გედები მიუახლოვდებოდენ შაქრის ჰურს ემაწვილის ჯოხი მისწვდა მას. ემაწვილმა მარდათ მოსდო ჯოხი შაქრის ჰურს, თავისკენ მოიწია, გედები გააფრთხო, დაგლას მოაგლო ხელი და მერე წელში გასწორდა. შაქრის ჰური სულ სველი იუო, მაგრამ ემაწვილებს მარტო ხომ არა შიოდათ—სწუროდათ კიდეც. უფროსმა გაჭეო შაქრის ჰური ორათ, ჰატარა ნაჯერი თვითონ დაიტოვა, დიდი უნცროს ძმას მისცა და უთხრა:

— ჭაჭე რაღა, ჩქარა!

ან. წ—

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსწავლეთა შუამდგომლობა

(დასასრული) *)

ეორე დილას ეველა მოსწავლეებმა თავ-თავის სტოლის უჯრაში ჰატარ-ჰატარა ბარათები ნახეს, რომლებშიაც ამოიკითხეს შემდეგი:

სწავლის გათავების შემდეგ გთხოვთ მოხვიდეთ სოფლის განაპირას რომ დიდი მოედანია, სადაც საჭირო საქმეზე უნდა მოვილაპარაკოთ. ვინც ათი წლისაზე ნაკლებია მოსვლის ნება არა აქვს. გიორგი ლენცი.

გიორგი გასაოცარი მხიარული ბავშვი იყო და მეტათ უყვარდათ თავის ამხანაგებს. რადგან იმას ხშირათ უყვარდა სხვა-და-სხვანაირი თამაშობის გამოგონება, ამიტომ ამხანაგებს ძალიან გაეხარდათ გიორგის ბარათების მიღება. იმათ გადასწყვიტეს: უთუოთ რამე თამაშობა მოიგონა და იმიტომ გვიბარებსო.

მართალია გიორგი 12 წლისა იყო, მაგრამ ისეთი ჩასუქებული და მაღალი ტანი ჰქონდა რომ 15 წლისას ჰგავდა.

*) იხ. „ჯეჯილი“ № XI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბავშვები მოუთმენლათ მოელოდენ სწავლის გათავებას. მოვიდა სანატრელი დროც და სასოფლო მოედანზე თა-ვი მოიყარა ოცდა ხუთმა მოსწავლე ქალმა და ვაჟმა.

როდესაც ყველა შეიკრიბა, გიორგი ავიდა დიდ ქვაზე, რომელიც სწორეთ შუა მოედანზე იდო და გამოაცხადა, უნდა რამე გითხრათ და ყური დამიგდეთო. ამხანაგები სულ-განაბულნი ელოდენ მის სიტყვას. გიორგიმ დაიწყო:

— ამხანაგებო, მე აქ იმიტომ მოგაგროვეთ, რომ სამ-წუხარო ამბავი გამოგიცხადოთ: ჩვენი მასწავლებელი თო-მას ვიმბლედენი თავს ანებებს ჩვენ სკოლას!

— რათა?.. ტყუილია!.. რათ მიდის? შენ საიდან იცი? მოისმა აქეთ-იქით ბავშვების ხმა.

— ვინ გითხრა ეგ ამბავი, გიორგი? დაეკითხა მერი, რომელიც ქვის ძირში მისკუპულიყო და გიორგის ლა-პარაკს ყურადღებით ისმენდა.

— ვინა და თითონ მასწავლებელმა, უპასუხა გიორ-გიმ, — გუშინ დილას, სწავლა რომ გავათავეთ, მე ცოტას ხანს კლასში დავრჩი და მაშინ მითხრა, შეიძლება თქვენ სწა-ვლებას მე თავი დავანებოვო. მე ჯერ ხუმრობა მეგონა, მერე შეცდომით, ჩემი ნაწერის მაგიერ, ერთი ქა-ღალდი მომცა, რომელიც დღეს ისევ დავუბრუნე, მაგრამ შიგ რაც ეწერა ის კი ზეპირათ დავისწავლე და გიორგიმ ხმა-მაღლა, გარკვევით წარმოსთქვა სამოსწავლო საბჭოს მოწერილობა.

ამ ამბავმა ბავშვები მეტათ შეაწუხა. ყველას ეგულ-წრფელათ უყვარდა თავისი მასწავლებელი და მისი მოშორება ძალიან ეძნელებოდათ.

— ჩვენი საყვარელი მასწავლებელი არაფრის გულისთვის არ უნდა გავუშვათ, გადაჭრით წამოიძახა მერიმ-- არ გახსოვთ წინანდელი მასწავლებელი, რა საძაგელი რამ იყო! თავის დღეში როგორ დამავიწყდება ის რომ სულ უბრალო მიზეზისთვის სახაზავით გვცემდა ხოლმე.

— ჰო, ჰო, მართალია, მართალია! მოისმა ბავშვების ხმა.

— დიახ! განაგრძო მერიმ, რომელიც ძრიელ წაათამამა იმან, რომ ამხანაგები ყურადღებით უსმენდენ—არ უნდა გავუშვათ! ვინ დაანებებს თავს მაგისთანა მასწავლებელს.

— მართალია, დაიწყო გიორგიმ,—მაგრამ ის მეტათ ლარიბია, ძალიან ცოტა ჯამაგირს იღებს, არა ჰყოფნის რომ იცხოვროს თითონ, აცხოვროს დამბლა დედა და ორი ხანში შესული და. თუ უკეთეს სამსახურს მისცემენ ხომ წავა? რა ვქნათ? რა მოვახერხოთ? ამასვე ფიქრობდენ ყველა, მაგრამ ვერა მოეგონებინათ რა.

— აი, ძმებო, მე რა მოვიგონე, განაგრძო, გიორგიმ. —ხვალ ხომ უქმეა, სწავლა არა გვაქვს. ვისაც გინდათ რომ ჩვენი მასწავლებელი არსად წავიდეს ჩვენგან, ხვალ დილაზე ჩემთან მოდით და ყველა ერთათ წავიდეთ ქალაქში და სამასწავლებლო საბჭოს ვთხოვოთ, რომ ვიმბლედენს ჯამაგირი მოუმატონ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გიორგი, ქალაქი ხომ შორს არის, მგონი ოცდა თხუთმეტი ვერსტია? მოისმა ვიღასაც ხმა.

— რა ვქნათ რომ ოცდა თხუთმეტი ვერსტია—უპასუხა გიორგიმ.

— გოგოები ვერ შესძლებენ,—შენიშნა ერთმა.

— როგორ თუ ვერ შეგვძლებთ! შეჰყვირეს მოსწავლე ქალებმა,— შეგვიძლიან და კიდეც წამოვალთ!..

— მაშ კარგი. აი რას გეტყვით—დაიწყო გიორგიმ. —სვალ დილის ცხრა საათზე მე გავდივარ სახლიდან ქალაქისკენ, ვისაც გინდათ წამოსვლა ამ დროსთვის იქ უნდა იყოთ. ამასთან გთხოვთ სახლში არც ერთმა არავის უთხრათ, სადაც მივდივართ, ვისაც ამის ასრულება არ შეუძლიან ნუ წამოვა.

— არა, არა, ჩვენ ყველა წამოვალთ და არც არას ვიტყვით. შესძახეს ერთხმათ ყველამ.

— სკოლის საბჭო მიიღებს კი ჩვენ თხოვნას? რომ გამოგვრეკონ? დაეკითხა შიშით მერი გიორგის.

— მე დარწმუნებული ვარ რომ მიიღებს; ამდენი მივალთ ერთათ და როგორ გამოგვრეკამს! მტკიცეთ უპასუხა გიორგიმ.

ქალაქის თავი და სკოლის საბჭოს თავმჯდომარე გენერი ჯონსი იჯდა თავის საამუშაო ოთახში და დაფიქრებიი შინჯავდა ქაღალდებს, რომლებიც მთელ სტოლზე იყო გა-

ჩვენ უეჭველათ გვინდა სკოლების საბჭოს თავმჯდომარის ნახვა.

— მე ვარ საბჭოს თავმჯდომარე! რა გინდათ ჩემგან, ან თქვენ ვინა ხართ? დაეკითხა ისევ ისე გაჯავრებით გენერი ჯონსი და მიაჩერდა გიორგის თვალებში.

— ჩვენ, ბატონო თავმჯდომარევ! უატ-მედოუსის სოფლის სკოლის მოსწავლეები ვართ, ეველა კი არ არის აქა, მარტო ათნი მოვედით. ჩვენ გვინდა ვთხოვოთ სკოლის საბჭოს, რომ ჩვენ მასწავლებელს, თომას ვიმბლედენს, ჯამაგირი მოუმატონ. უპასუხა გიორგიმ.

— აი რაში ეოფილა საქმე! წარმოსთქვა თავმჯდომარემ —მაშ ეხლა თქვენ გამოგზავნათ, ვიმბლედენმა რომ მისთვის ჯამაგირის მომატება ითხოვოთ?

— ოჰ, არა, არა, ბატონო! უპასუხა ცხარეთ გიორგიმ და, თუმცა მის ამხანაგებს ჰირობა ჰქონდათ, ჩვენ ხმას არ ამოვიღებთო, მაგრამ მაინც ერთხმათ შეჰეეირეს:

— არა, ბატონო თავმჯდომარევ, რას ბძანებთ! ჩვენ თავათ მოვედით.

— მასწავლებელ ვიმბლედენს ჩვენ არ გამოეუგზავნიეართ, ბატონო, განაგრძო გიორგიმ.—იმან არაფერი იცის ჩვენი მოციქულობის შესახებ, ჩვენ იმის ჩუმათ წამოვედით; იმას რომ გაეგო კიდეც გაგვიჯავრდებოდა.

— მაშ თქვენ საიდან იცით რომ ის ჯამაგირის მომატებას თხოულობს? დაეკითხა ჯონსი, რომელსაც ცნობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოუვარეობა გაუღვიძა ამ ბატარა მოციქულების საქციელმა.

— აი ბატონო როგორ იყო საქმე—მიუგო გიორგიმ და თამამათ და გარკვევით, თითქო კარგათ გაზეპირებულ გაკვეთილს ამბობსო, დაწვრილებით გადასცა თავმჯდომარეს ყველა ის, რაც შეემთხვა კლასში, როგორ და რა გაიგო მასწავლებლის ჯამაგირის შესახებ, როგორ შეჭყარა ამსანაგები და როგორ გადასწყვიტეს საბჭოს წინაშე ეშუამდგომლათ.

— მე გადავწერე თქვენგან მოწერილი ქაღალდის შინაარსი და აი აქა მაქვს, ბატონო თავმჯდომარევ, დაასრულა გიორგიმ და მიაწოდა ოთხათ შეკეცილი ქაღალდი.

— ყველა ეგ კარგათ მესმის—უპასუხა თავმჯდომარემ, რომელიც მოუსვენრათ ატრიალებდა სახაზავს,—მაგრამ თქვენ რა გინდათ? ვიმბლედენის ადგილს ჩვენ სხვა მასწავლებელი გვყავს, რომელიც ძალიან კარგათ არის მომზადებული და როგორც კი თქვენი მასწავლებელი წავა მაშინვე ის დაგიწყებთ სწავლებას. თქვენთვის განა სულ ერთი არ არის?

— უიმე, არა ბატონო! უპასუხა ძწუხარებით გიორგიმ —ყველა მასწავლებლები თავისდღეში არა ჭგვანია ერთმანეთს. თუ გინდათ ამაზე დავიფიცავთ, კიდეც, რადგან ეს ჩვენ თითონ გამოვცადეთ. ვიმბლედენის წინათ ერთი მასწავლებელი გვყავდა, რომელიც ყველა მოსწავლე ქალებს ხელებზე სახაზავითა სცემდა.

— დიახ, დიახ, სულ ხელებზე გვცემდა ხოლმე—დაემოწმა მერიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ერთი ცეხედეთ, რაში ეოფილა საქმე! ვიმბლედენი ხომ არ ჩადის ბაგას?

— თავის დღეშიაც არა!—მოისმა საერთოთ ბავშვების ხმა.

— მაშ როგორ დაგსჯით ხოლმე, როცა ამის ღირსი ხართ?

— ის თავის დღეში არ დაგვსჯის ხოლმე, უპასუხა გიორგიმ.

— თავის დღეში?! გაიმეორა თავმჯდომარემ — განა თქვენ ისეთი ჭკვიანები ხართ, რომ სასჯელის ღირსი არასოდეს არა ხართ? ღიმილით დაუმატა მანვე.

— როდესაც ბატონი ვიმბლედენი ჩვენ სკოლაში გადმოიყვანეს, ჩვენ საშინელი გიჟები ვიყავით, უპასუხა გიორგიმ, მაგრამ ის ისეთი კარგი და კეთილია, რომ ყველა იმას ვცდილობთ ისე მოვიქცეთ, როგორც ჩვენ საყვარელ მასწავლებელს იამება, თუმცა კი ხანდახან ახლაც წაგვცდება ხოლმე.

— მაშ როგორ იქცევა, როცა თქვენ გლახათ მოიქცევით? დაეკითხა ცნობის მოყვარეობით ჯონსი.

— ის ისეთ ლაპარაკს დაგვიწყებს, რომ ჩვენ თითონვე შეგვრცხვება ხოლმე ჩვენი საქციელისა — ოხ, ბატონო თავმჯდომარევ, რომ იცოდეთ როგორ გვიყვარს ჩვენი კარგი მასწავლებელი, უოუოთ შეგვისრულებდით თხოვნას! წარმოსთქვა აღტაცებით გიორგიმ.

— ამას გ რდა, ის ეოველთვის წაგვიევანს ხოლმე ხა-
სეირნოთ ტყეში, მინდორში—მოისმა ვიღასიც წკრიალა
ხმა—ისეთი კარგია იმასთან სეირნობა, სულეოველისფერს
აგვისსნის ხოლმე, რასაც ვხედავთ. ზამთარში ხან ცივით
დასრიალობს ჩვენთან და ხან თოვლა-გუნდაობას გვეთამა-
შება. თუ ვისმე გაკვეთილის დასწავლა გაუჭირდება საღა-
მოობით იმასაც ასწავლის ხოლმე.

— მაშ თქვენის ფიქრით სხვა მასწავლებელი აგრე ვერ
მოგექცევათ?

— არა, მე მგონია რომ მთელ ქვეყანაზე არ არის ისე-
თი მასწავლებელი რომ ვიმბლედენს ჭკვავდეს! უპასუხა სა-
ჩქაროთ გიორგიმ.

— შეიძლება მართალს ამბობდეთ—ჩაილაპარაკა ჯონსმა
და გააღო მაგიდის უჯრა, ამოიღო იქიდან ვიმბლედენის
თხოვნა და ხელმეორეთ წაიკითხა. მერე აიღო ერთი ფურ-
ცელი ქაღალდი და ზედ რაღაც დასწერა. პატარა მთხოვ-
ნელები შიშით შესცქეროდენ თავმჯდომარეს.

— მაშ ეგრე —სთქვა თავმჯდომარემ, როდესაც წერა
გაათავა—ეველას ერთნაირათ ძალიან გიეეართ ვიმბლედენი?

— ოჰ, ეველას!.. ეველას! ერთ ხმათ შეჰეეირეს ბავშვებმა.

— ძალიან კარგი, აბა გამიგონეთ რა წაგიკითხოთ. და
ჯონსმა ბავშვებს შემდეგი წერილი წაუკითხა:

უატ-მედოუსის სკოლის მასწავლებელს თომას ვიმბლედენს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოწყალეო ხელმწიფევ!

გამოვიძიე ყველა საქმე თქვენ შესახებ და გადავწყვიტე, რომ თქვენი თხოვნა ჯამაგირის მომატების შესახებ მეორეთ წარვუდგინო საბჭოს, და იმედი მაქვს საბჭო შესაძლებლათ დაინახავს რომ თქვენ ჯამაგირი მოგემატოსთ.

საბჭოს თავმჯდომარე გენრი ჯონსი.

— გინდათ ჩავწერო, რომ თქვენ ჩემთან იყავით?

— უიმე არა, ბატონო! შიშით უპასუხა გიორგიმ.

— კარგი, მე ამ წერილს ან ფოსტით გავუგზავნი ვიმ-ბლედენს ან და ჩემი ბიჭის ხელით.

— გმადლობთ, დიდათ გმადლობთ, ბატონო თავმჯდომარეე—ერთხმათ შეჰყვირეს გიორგიმ და ძისმა ამხანაგებმა.

— მე რათ მეუბნებით მადლობას, მადლობა თქვენმა მასწავლებელმა თქვენ უნდა გითხრათ, რომ აგრეთი კარგი ბავშვები ხართ! ახლა სახლში როგორ წახვალთ ამ სიშორეზე?—დაეკითხა თავმჯდომარე ბავშვებს.

— როგორა და ფეხით. როგორც მოვედით ისე წავალთ, ისეთი ჩქარა დავდიგართ რომ!

— ოცდა თხუთმეტი ვერსტი გამოგივლიათ და კიდევ უნდა ამდენივე გაიარონთ! არა, ეს მეტის მეტია თქვენი ჰატარა ფეხებისთვის! მერე თქვენში ხომ ჰატარა ქალებიც ურევია!

— ჩვენ ვაჟებზე ნაკლები სიარული არ ვიცით, ძალიან ჩქარაც დავდიგართ—მოისმა ჰატარა გოგონების ხმა.

— ვიცი, ვიცი, დარწმუნებული ვარ, მაგრამ მე მაინც ფეხით არ გავისტუმრებ ჩემ ჰატარა სტუმრებს—უპასუხა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღიმილით გენრი ჯონსმა, გამოვიდა გარეთ და უბრძანა ბიჭს, რომ დიდი ფურგონი შეებათ. ნახევარ საათის შემდეგ ჰატარა მოციქულები ჟივილ-ხივილში სხდებოდენ ფურგონში და მათ სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. გენრი ჯონსი თავისი სახლის აივანზე იდგა და დიდის სიამოვნებით შესცქეროდა ემაწვილების სიხარულს, თითქო ისიც იმათთან ერთათ ‘ხარულობდა და აგონდებოდა წარსული დრო, როდესაც თითონაც მოსწავლე იყო, ცელქი და ‘ხიარული, სწორეთ ისეთი, როგორც ეს ჰატარა ბავშვები. და როდესაც ფურგონი თვალიდან მოეფარა თითქო რაღაც მწუხარება იგრძნო. თავის სიცოცხლეში ჰირველათ შეესარბა სხვისი მდგომარეობა, იგი შენატროდა მასწავლებელ ვიმბლედენის მხვედრს და გულში ამბობდა:

ნუტა მე ვიყო იმის ადგილასო.

სონა ციციშვილი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

პატარა ნებიერი

(სურათი ბავშვების ცხოვრებიდან)

I

ზაფხულის დღე საღამოთ იწურებოდა. წითელი შუქი დასდგომოდათ ხეებს, რომელნიც ამართულიყვენ კარგა ფართეთ გაშლილ ეზოში, მაგრილებელი სიო ნაზათა სცემდა ფრთას, არხევ-აშრიალებდა; მათ უკან არ რჩებოდენ კინკრიჟოს ჰაწია ბუჩქები; ერთი მეორესთან გადახლართულნი ოდნავის რხევით თანაუგრძნობდენ. ჩუ! ხმა მაღლა გაისმა სადღაც გუგულის ხმა:

— გუგუ! ხმა მისცა მეორემ.

— გუგუ! გაიმეორა ჰატარა სულიკომ და გამოძვრა კინკრიჟოს ბუჩქიდან, გადახტა ჰაწია კვალზე და გაჩერდა ხის ქვეშ. კარგა ხანს შეჰყურებდა მუშტრის თვალით შეუკითლებულ მსხლებს და ჰირში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნერწყვ მოსულს როგორღაც უძნელდებოდა სურვილის ასრულება.

— როგორ?! განა არ ვარდება ეს მსხალი, რომ სულიკოს ჰირი ჩაუტკბარუნოს?! განა ეველაფერი იმისთვის არ არის გაჩენილი, რომ სულიკო ასიამოვნოს?! ამ გაფიქრებაზე ბავშვი ჩაჯდა ძირს და დაიწყო ფეხსაცმელების ხდა.

— სულიკო! მოისმა ამ დროს ძახილი.

— რას შკრები, სული? შეგცივა... ხეზე მიდიხარ?.. დაიცა, წავიდე მამას ვუთხრა!.. მოისმა კვალათ გამეორებული ხმა ჰატარა ელოსი, რომელიც ჩამჯდარიეო ბალახებში, გაეშალა კაბის წინა კალთა დედამიწაზე და თავის უნცროს დასთან, თეკუნასთან, კენჭაობდა.

— ბიჭო, არ გეეურება ჩემი ლაჰარაკი?.. გაჩერდი ნუ მიცოცავ მეთქი!.. უეცროდა ელო, მაგრამ სულიკო ეურს არ უგდებდა და კატასავით მიიჰარებოდა ხეზე, რათა ხელი ეტაცა სამაცდუროთ დახუნზლულ ტოტისათვის.

— გატეუებს, სული! ბევრი მოკრიფე და ჩვენც მოგვიტანე!.. ხელს უმართავდა თეკუნა.

— ნუ, თეკუნი, ნუ აქეზებ, თორემ ხომ იცი, მაგას რო ეტკინოს რამე, ჩვენ დაგვაბრალებენ. უთხრა ხმა დაბალა ელომ დას და მარჯვეთ აისროლა კენჭი ხუთ-ხუთას ასაკრეფათ. თეკუნამ ხელი მიაშველა და შეაუენა.

— იჰ, ქალბატონს გაუმარჯოს! რას შვრები?.. ძალიან წინ მირბიხარ?! ჯერ ორროლა არ აგიკრეფია და ხუთ-ხუთას

ეროვნული ბიბლიოთეკა

საიდან კრეფავ?. ელოთ გაიკისკისა და ხელ მეორეთ ჭეჭარა კენჭები.

— მაშ კარგი, ეხლა რაც დაიუაროს, ის ვითამაშოთ! აგერა სამსამია და არც შევშლი. დაიწყეს ბავშვებმა ხელ-მეორეთ კენჭაობა. თეკუნა ხანდახან გაიხედავდა ხოლმე ხისკენ, რომელზედაც სულიკო ეგულებოდა.

— ელო, ელო, ერთი შეხე სულიკოს!. კენწეროზე მოჰქცევია და დამძიმებული ტოტი ჭრიალებს!.. უთხრა ამან დას.

— უი დამიდგეს თვალები! შესძახა ელოთ, როდესაც დაინახა, რომ სულიკო გასულიუო ერთ ვიწრო ტოტზე და იქიდან ეწეოდა მეორეს. შემოიკრა უბებში ხელები და გაფითრებული წამოვარდა ზეზე, მაგრამ ვეღარ გაინძრა, რადგან სწორეთ ამ დროს სახლის აივანზე გამოვიდა კნეინა თებრონია კრიალოსნით ხელში; მას უკან მოჰყვებოდა თავადი ზაქარია.

— სულიკო, შვილო! დაიძახა ზაქარიამ.

— სული! სადა ხარ ბიჭო? ნახე ჩვენმა სოლომონამ რა ატმები მოიტანა. ჰაჰ! ჰაჰ! ჰაჰ! ერთი გოდორია სავსე, მოდი მოუარე და! — ხის ტოტებმა უფრო მეტათ იწყეს ჭრიალი, როდესაც თებრონიამ მიიხედა იქით, ერთი საშინლათ შეჰკივლა და ორივ ხელები მიიფარა ჰირზე.

— ზაქარია! ერთი შეხედე, სად ასულა სულიკო!.. გენაცვალეთ, რომ ჩამოვარდეს რომელ წუალს მივცე თა-

ვი! ზაქარიასაც ფერი ეცვალა, თვალები დააჭყიტა და ადგილზე დარჩა რამდენსამე ხანს.

— ერთი უეურე ი გომბიოებსა ქა, თუ ეური უგდონ! ათასჯერ მითქვამს, სულიკომ არა იწეინოსრა, ათამაშეთ მეთქი და ისინი კი მაინც ცალკე დამსხდარან!

— ელო, თეკუნი! სადა ხართ, თქვე ბაიეუშებო! — დაიძახა თებრონიამ, ელო დიდი-ხანია მოელოდა ამას და თავ ჩაქინდრული წამოვიდა; თეკუნაც შემკრთალი წამოვარდა ზეზე და აბუზული დას უკან გამოჭვევა.

— სვიმონა, იაგორა, ერთი მიდით ჩქარა ი ბავშვს უშველეთ ხიდან ჩამოსვლა! უბრძანა ასლა კი გონზე მოსულმა ზაქარიამ ბიჭებს, რომლებიც ამ დროს მოერეკებოდენ ძროხებს. ბიჭები გაიქცნენ და ციმციმ ჩამოიეანეს სულიკო. ბავშვმა მსწრაფლ ჩაიცვა ფეხ-საცმელები და გახარებულმა მოჭკურცხლა მამისკენ.

— ატმები, მამილო? აბა სად არის ატმები? — გაიძახოდა სულიკო და თან უბიდან გზა-გზა ებნეოდა მსხლები.

— აი შვილო, წამო ნახე! — მოჭკიდა ზაქარიამ ხელი ბავშვს და შეიეანა სახლში! თებრონიამ ჯერ სილები უთავაზა ქალიშვილებს და მერე ქოჩორიც მოსწია. ბავშვებმა დაიწეეს ტირილი, თებრონია კი უმატებდა რისხვას.

— აი, თქვე წეეულებო, თქვენა! კიდევ მოშორებიხართ სულიკოს ერთ ნაბიჯზე! კიდევ გაგიბედიათ და ჩემი ბრძანება არ აგისრულებიათ!.. ი ბიჭები რომ არ მოსული-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეკენ, ხომ უნდა თვალები დამდგომოდა და აბა, მაინ შეეურებოდით კაი დღესა! ელო და თეკუნა ჰირზე ხელებ მიფარებულები სლუკუნობდენ სწორეთ იმ დროს, როდესაც გახარებული სულიკო ხელებს ურევდა იატაკზე დაგროვილ ატმებში და აღარ იცოდა, რომელი აეღო, რომლისთვის ჩაეჭირა თავისი ბასრი კბილები.

— მამი! უეურე რა დიდია! რა ტოტოჩაა! შეხე... ეს ბუსუსიანია, არ ვარგა! ესა, ესა, მამი, ამას ეურე! იფ!..

— ჰო, შენი ჭირიმე, სულ შენია, სულ!.. რაც გინდა ეკეთი.—სულიკომ კარგა ხანს შეიეოლია თავი ატმებით, მაგრამ მალე მოეწყინა, თავი ჩაუდო მამას კალთაში და დაიწყო წუწუნი.

— რაიეო, შვილო? —ჰკითხა ზაქარიამ და თვალები ამოუკოცნა.

— თამაშობა მინდა! —წაიბუზღუნა ჰატარა ნებიერმა და უკმაეოფილოთ წაუშვა ტუჩები.

— ითამაშე გენაცვალე!

— ვისთანა მერე?..

— ვისთანაც გინდა. მოიეანე გიგა, ვანო...

— არა, თეკუნასთან და ელოსთან მინდა!..

— თეკუნა! ელო! —შესძახა ბრძანების ხმით ზაქარიამ. ამ ძახილზე მაშინვე შემოვიდნენ ბავშვები, დაწითლებული თვალებით და მორჩილებით გაჩერდნენ.

— სულიკო წაიეანეთ და ათამაშეთ! —უთხრა მამამ და ორივეს რამდენიმე ატამი მისცა. გოგოებს თვალები

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაუბრწყინდათ, სახე გაელიმათ, რომელზედაც ჯერ-ჯერ შრობოდათ ცრემლები.

— კარგა გაართეთ, თორემ სიცოცხლეს ჩაგიმწარებთ! მოესმათ თებრონიას ხმაც.

II

— თეკუნი, ელო! მოდი ვითამაშოთ რამე ჭა?—შესძახა სულიკომ, როდესაც გავიდა ეზოში.

— რა? რა ვითამაშოთ? შეეკითხნენ გოგოები.

— რა?!—ბავშვები ჩაფიქრდენ. ელოს ატმები ეცოტავა და კიდევ უნდოდა რამდენიმე ეგდო ხელში.

— დუქნობანა! —წამოიძახა მან.

— მერე როგორ?—გაოცებული თვალებით შეეკითხა სულიკო.

— როგორ და ასე: შენ მედუქნე იყავი, ჩვენ მყიდველები; მოვალთ და ვიყიდრებთ. თეკუნა და სულიკო აღტაცებაში მოვიდნენ ამ ახალ გამოგონებაზე.

— იჭ, იჭ, დედა ჩემო!—შემოჭვრა ტაში-ტაშს გახარებულმა სულიკომ და ბავშვები გაფაციცებით შეუდგნენ ამ აზრის განხორციელებას. აარჩიეს ეზოში მოხერხებული ადგილი ხის ქვეშ, დააწყეს ფიცრები, დააგროვეს კოლოფები. სულიკო გაიქცა ატმების გამოსატანათ. ელომ და თეკუნამ გამართეს კანაფის სასწორი, დააწყეს ფიცრებზე სხვა-და-სხვა ხილი, ჯიბეები დაიტენეს წვრილი კენჭებით,

ვითომ და ფული იეო. მალ-მალ გადგებოდენ განზე და გახედავდენ თავიანთ ბაზარს და, სახეზე ღიმმოსულნი, აღტაცებაში მოდიოდნენ. ამ დროს თეკუნას რაღაც აზრმა გაუარა თავში, ლოყები დაუწითლდა, თვალებმა ნაპერწკლები გააბნიეს.

— მშვენიერია, სული! მშვენიერია ე შენი დუქანი, მაგრამ...

— მაგრამ?..

— ერთი რამ აკლია!.. ისიც რომ აქ იყვეს ჩინებული იქნება, ჩინებული!..

— რა, თეკუნი, მითხარი გენაცვალე, აბა რა?

— იასონას დუქანში, შუეშბით რომ კამფეტებია, ცოტა ისიც რომ აქ იყვეს, სწორეთ მოსაწონი იქნება და შენისთანა დუქანი არავის ექნება!..

— მაშ, წავიდე, მამას ფული ვთხოვო!.. შესძახა სულიკომ და დაანჰირა გაქცევა, მაგრამ თეკუნამ შეაყენა და უთხრა:

— სული, მანათი ‘თხოვე... მანათზე ნაკლები რაღა უნდა იყვეს?.. ერთ კოლოფს გაგვიმსებს იცი? თუ არ მოგცეს იტირე და უთუოთ მოგცემს. სულიკომ მოჰკურცხლა და წუთს ისევ გამოჩნდა ხელში აფრიალებული ქაღალდის ფულით.

— ელო, თეკუნი, შემოხედეთ ამასა! დაიძახა სულიკომ. ჰატარა გოგოებს კმაყოფილების ღიმილმა შეუთამაშათ სახეზე.

-- მამამ იაგორა წაიყვანე დუქანშიო და იხვიდეო, მარტო არ წახვიდეო, დაუმატა სულიკომ და გაე-მართა სამზარეულოსკენ, სადაც ბიჭები ეგულებოდა. თე-კუნასა და ელონს მოლოდინს მალე მოელოთ ბოლო; სუ-ლიკომ მოირბინა, რომელსაც ხელში დიდი ჰარკი კამფე-ტებით სავსე ეჭირა. ამან სულ რბენით გამოატარა მთელი ის გზა, რაც იასონასა და სახლს შუა იყო და დაღალ-ვისაგან სულს ვეღარ იბრუნებდა.

— შემოხედეთ!.. უყურეთ!.,. ყვიროდა ის. ელომ ხე-ლიდან გამოსტაცა და მოაჰირქვავა კოლოფში. ჰარკიდან გადმოცვივდა სხვა-და-სხვა ნაირი ტკბილეულობა: აგერა ჰრტყელი, ქაღალდში შეხვეული, კამფეტი, რამოდენა ფო-ჩები აქვს!.. ამას სატკაცუნებელიც უნდა ჰქონდეს!.. ამათ მოჰყვათ კიდევ სხვა ნაირი, ზედ ლამაზი ქალი იყო გა-მოხატული! ახლა წვრილ წვრილი კვერცხების მოგვარი ზოგი წითელი, ზოგი თეთრი!..

— იფ! აგერა ბურთსავით მრგვალი ბულდეგომები, მაფზე ასხმულები! მამა ისე არ წაიყვანდა სასეირნოთ სუ-ლიკოს, რომ ჯიბეები არ დაევსო ამ კამფეტებით და ამისთვის მას ნაკლები აღტაცება ეტეობოდა, ვიდრე ელოსა და თეკუნას, რომლებიც სიხარულით ფეხზე აღარ იდგ-ნენ.

— ღმერთო, რა კარგებია!.. დაჟინებით იმეორებდენ ისინი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჩქარა! ჩქარა! გენაცვალეთ! ნულარ ვაგვიანებთ, მაღლა გავმართოთ და!.. გაიძახოდა თეკუნა, რომელიც ეზათ იყო დასწდომოდა კამფეტს, ერთი მაინც შეეჭამა, მაგრამ ეშინოდა სულიკოს ღრიალი არ მოერთო და არ ჩაეფუშა მომავალი ბაზრობა, ელო კი დარბაისლურათ იჯდა და აწუობდა, სადაც რა იყო საჭირო. ძლივს მოეზადებას ბოლო მოეღო. სულიკომ გამოარბეინა პატარა ზარი, და იქვე ფიცარზე დასდო.

— აბა სული, გადადი ხის ქვეშ და ზარი დარეკე! ეგ იმისი ნიშანი იქნება, რომ დუქნობანი უნდა დაიწყოს და სანამ ჩვენც მოვემზადებით, ვითომ და მეიდველები ვართ... უთხრა ელომ.

— სულიკო ერთი თვალის დახამხამებაზე გაჩნდა დანიშნულ ადგილზე და დააწუებინა ზარს წკარაწკური. ელო და თეკუნა გაიქცნენ ოთახებისკენ და რამდენისამე ხნის შემდეგ გამოვიდნენ სულ სხვანაირათ მორთულნი: თავზე დაეხურათ შლიაპები, ბეჭებზე წამოესხათ გრძელი შალები, ხელში დაეჭირათ სამზეურები და ნელი ნაბიჯით მიდიოდენ დუქნისკენ. სახეზე ეხატებოდათ დარბაისლობა, რამდენათაც მათ ნებას აძლევდათ ეშმაკურათ მოელვარე თვალები. აგერა მოახლოვდნენ.

— აქეთ, აქეთ მობრძანდით!.. დაუძახა პატარა მედუქნემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არ გნებავთ სხვა-და-სხვა ხილი, კამფეტები?

— აბა, ქალო, დავათვალიეროთ, უთხრა ელომ ეშმაკური ღიმილით დ-ს.

— ვნახოთ, იქნება მოგვეწონოს რამე!.. ქალები მოტრიალდნენ.

— რა გნებავთ?.. ინებეთ!.. აგერა წითელ წითელი ვაშლები, მსხლები, კამფეტები, ატმები!.. გაიძახოდა დაუღალავათ ჰატარა მედუქნე.

— გირვანქა კამფეტი როგორ?.. ჰკითხა თეკუნამ.

— ოცდა ათი აბაზი... წარმოსთქვა ამაყათ მედუქნემ და გაისწორა წელზე ჰირსახოცი, რომელიც ქამრათ შეემოერტყა.

— ოჰ ოცდა-ათი აბაზი?! რა სათქმელია! ხამები კი არა ვართ!—ტუჩ აფხეკით შენიშნა ელომ და გამობრუნდა.

— თქვენ რას მომცემთ? ახლა თქვენა ბრძანეთ!

— ათ აბაზს. მეტი არა ღირს—სთქვა თეკუნამ.

— ოჰ, როგორ შეიძლება!.. ხელს არ მომცემს!

— არც თერთმეტ-ით იძლევი?—შეეკითხა კვალათ თეკუნა.

— არა.

— არა და აგრე ბრძანდებოდე! ქალები აჰირობდენ წასვლას.

— მოითმინეთ ბატონო, თქვენი ხათრისთვის თორმეტათ იყოს. ქალებმა გადადგეს რამდენიმე ნაბიჯი და შემდეგ ისევ მობრუნდენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მოიტა რა მეტი ღონეა! სტუმრები გვეავს, ორ-
რემ არც მაგას მოგცემდით. აბა ასწონე!—მედუქნემ აიღო
ქალალდი, დადო სასწორზე და დაჭეარა ერთი მუჭა კამ-
ფეტი.

— გეთაუვა, სატკაცუნებელი და ბულდეგომები უჭარბე!..
მაგათაც არა უშავთ რა, ლედინეცებიც გემრიელია!—ეუ-
ბნებოდა თეკუნა და ელოც ხელში აჩხაკუნებდა თორმეტ
მოზრდილ კენჭს მისაცემათ, მაგრამ მედუქნეს უხერხულათ
მოუვიდა აწონა: სასწორის მეორე თეფშზე დაავიწუდა რი-
სამე დადება და სულ დაებნა კამფეტები. მეიდველებმა ჯერ
გულიანათ გადიხარხარეს, მაგრამ, რომ მოაგონდათ, რა
მედუქნესთანაც ჰქონდათ საქმე, უცებ სახეს დარბაისლური
მეტვეელობა მისცეს, თუმცა თვალები კი ისევ ელვარებდნენ,
იცინოდნენ. სული დახტოდა ადგილიდან ადგილზე, გა-
ჩქარებული ჰკრეფდა მოფანტულ კამფეტს და როგორც იეო
თავი მოუეარა, მაგრამ ქალებმა ხელი ჰკრეს.

— იქით წაიღე და!.. ნაგვიანი რომ ჩვენზე არ გა-
ასაღო, სხვა ვეღარავინა ნახე?—მედუქნემ აღუშფოთველათ
განაგრძო წონვა და ახლა კი მარჯვეთ მოუვიდა. ფულათ
თორმეტი კენჭი ჩაიბარა, ქალები კი წავიდნენ და დაიწე-
ებინეს გზა-გზა ხრამა-ხრუში.

— უჰ! უჰ! რა გემრიელია!—თავის ქნევით გაიძახოდა
თეკუნა, სულიკოსაც უნდოდა ეჭამა, მაგრამ ეშინოდა არ
დაჭკლებოდა დახლში, მარტო ერთი ბულდეგომი შეახრა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუნა, რადგან მეტათ მაცდურათ უეურებდა წითელი თვალებით, თითქო ესვეწებოდა:

— აბა ჩქარა, დამავლე ხელი, რომ ეინულსაეით ჩაგადნე ჰირშიო. ეზოში გავარდა ფოფეივით ხმა, ამ ხმას მოჰყვა მსიარული კისკისი თეკუნასი, რომელსაც სატკაცუნებელი გაეწუეიტა და თავისი სიცელქით სტკბებოდა.

III

ქალები კვალათ მობრუნდენ ვაჭრობის გასაგრძობათ. ამ დროს ეზოში შემოგროვდნენ სოფლის ჰატარა გოგოები და შორი ახლო გაჩერდენ.

— რა გნებავთ?—ჰკითხა თეკუნამ.

— თუთაი. თამამათ უპასუხა ერთმა ბავშვმა და ღიმილით დაუწეო ეურება გაშლილ დუქანს.

— მოდით! მოდით!—აჰა, კამფეტებიც! დაუძახა ელომ და დაურიგა ეველას, რაც კი ხელში ჰქონდა. თეკუნამაც დას მიბაძა.

— აჰა ფულები, მიდით და რაც გინდოდეთ იეიდეთ!— გამოუცხადა თეკუნამ და მისცა ბავშვებს კენჭები. გოგოებმა დაიწეეს სიცილი და სიამოვნებით ასრულეს თეკუნას ბრძანება. ჰატარა მედუქნის საქმე კარგათ მიდიოდა, ძალიან საღდებოდა ხილი, თუ კამფეტები; მეტადრე ამ კამფეტებს დიდი ხარჯი ჰქონდა, სამაგიეროთ ფულის თეფში ივსებოდა და ივსებოდა ქვებით, სულ გალი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცლიცდა, პატარა მედუქნე იძულებული იყო, რომ მეორე გუ-ჭელიც მოენახა. გახალისებულმა ბავშვებმა გაახჩინეს სხვა-და-სხვა თამაში. თუმცა სულიკოსაც უნდოდა მონაწილეო-ბის მიღება, მაგრამ დუქანს თავი ვერ დაანება.

— აბა, ჰელო, უზუნდარა დაჭკარი!—დაუძახა თეკუ-ნამ ერთ ცუგრუმელა შავ-თვალა ბავშვს, რომელიც მა-შინვე გამოერჩია სხვებში, დატრიალდა რამდენჯერმე და გამოითხოვა მეორე. ისიც გამოჭვა. ჰელომ ხელები გა-აწვდინა, გვერდზე თავი გადიღო, თვალები ცისკენ ამართა და მოჭვა ტირუ-ტირუს ძახილს. მისცურავდა გვერდ-გვერდ, წელში არ ინძრეოდა, მარტო ხელებს ხან-დახან ამლევდა სხვა-და-სხვა მიმართულებას, მეორეც ამას მისდევდა. გაათავეს თამაში. ახლა სხვები გამო-ვიდნენ... ამასობაში მედუქნეს დახლი ცალიერდებოდა და ქვა-კენჭები, კოლოფები ხელასლათ წინანდელ უხიამოვნო სახეს იღებდნენ. დარჩა ორათ ორი ლედინეცი თეფშზე და ეს კი აღარავის დაანება მედუქნემ, თვითონ გაასაღა და გულიც აუცრუვდა.

— ღმერთო ჩემო, რამდენი კამფეტები გამომაცალეს ხელიდან ამ საძაგელმა გოგოებმა!.. სთქვა სულიკომ და გული დაუმძიმდა, სიამოვნება ჩამოშორდა, რადგან გასაყიდი აღა-რა ჰქონდარა.

— რა ძალე გათავდა!.. ამას კი ეგონა სულ ისე იქ-ნებოდა!.. ელომ და თეკუნამ შეამჩნიეს სულის მოწყენა და იმასთან მოირბინეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სული, გენაცვალე, რას გაჩერებულხარ? შოდი ერთათ ვითამაშოთ.

— დაიკარგენით იქით!.. ალარ ძინდა თქვენთან თამაში.

— რატომ გენაცვალე? რა დაგიშავეთ?

— ჭმ!.. იმოდენა კამფეტები რომ შემიჭამეთ, რაო ახლა? ბავშვები შეკრთენ.

— როგორა, სული? აბა როდის შეგიჭამეთ? აკი მოგვეიდე?

— შევჭამდით! აბა რას ვუზამდით, ბიჭო?

— მე არ ვიცი! მომეცით ჩემი კამფეტები!..

— რომ ალარა გვაქვს? შევახრამუნეთ...

— მე რა ვქნა, საიდანაც გინდათ მომეცით! ქალებს ფერი ეცვალათ, შეშინდენ და ალარ იცოდენ რა ექნათ?

— შეგჭამეთ სული! შეგჭამეთ...

— მომეცით მეოქი ჩემი კამფეტები!.. ეხლა კი შელრიალა ბავშვმა.

— სუუ, შენ შემოგევლოს შენი თეკუნაი!.. სთქვა თეკუნამ და მიეფერა სულიკოს, მაგრამ სულიმ ხელი ჭკრა და ჭრიწიალით წავიდა სახლისკენ. გოგოები გაიჭარნენ, თეკუნა და ელო დაღონებულები გაჩერდნენ.

— თქვენ კი რა გითხრათ თქვენა, აჭანდე, თქვე სვავებო!.. რა იყო ახლა იმდენი კამფეტები რომ შეგიხეთქიათ და იბავშვისთვის ალარა დაგიტოვებიათ-რა! ჭა? დაუვირა სახლიდან გამოსულმა თებრონიამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არა დედა, თითონ მოგვცა, შეგვესვეწა, დუქნობანა ვითამაშოთო, მოგვეიდა და ჩვენც შევჭამეთ. თებრონიას გაეცინა და გამობრუნდა. სულიკო კი იწვა ტახტზე ჰირქვე და ღრიალებდა, ფეხებს აფხანკალებდა. ამასობაში ჩამობნელდა, ოთახში ლამპარი აანთეს. ზაქარია შეეცადა როგორმე დაემშვიდებინა თავისი ნებიერი, მაგრამ ვერას გახდა.

— ჩემი კამფეტებიიი!.. ჩემი კამფეტებიიი!.. ეგიროდა დაუღალავათ სულიკო.

— აჭა, გენაცვალოს მამაი, მანეთი და ხვალისთვის იეიდე კამფეტები, მაგისთვის როგორ იწუხებ თავსა, შვილო? სულიკოს ფულის შემლეკა იამა, წამოიწია, გამოხედა გამოწვდილ ხელს და რა დაინახა ფული, მაშინვე ხელი სტაცა, დაემხო ჰირქვე და მოჭყვა ისევ სლუკუნს. როდესაც ჟინი მოიკლა, წამოდგა ზეზე, მოიწმინდა ცრემლები და სახე გაღიმული მიუჯდა მაგიდას, რომელსაც მთელი ოთახი შემოსხდომოდა. ელო და თეკუნაც აქვე გამოჭიმულიეკნენ, თან ჩაის მიირთმევდნენ, თან მოუთმენლათ ელოდებოდნენ ხვალინდელ დღეს, რომ სულიკოსთან ერთათ ხელ ახლათ გაემართათ დუქნობანა.

ან. ერისთავ-ხოშტარიასი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოდალა

(ამბავი)

ათაში იყო დაბადებული, წიფლის ტყეებით რომ არის დაბურული. ტყის შვილი იყო, იმ ულრანი ტყისა, სადაც ათასი წლები გასულა და არც კაცს არც ფთხილს ნადირს, მონადირისგან შეშინებულს და იქ შეხიზნულს, ცულის ხმა არ გაუგონიათ.

ათასში ერთხელ, ქარიშხალში, სიბერისაგან დაძაბუნებული და ჭიებისაგან გამოხრული ზეხმელი მოსტყდებოდა ხოლმე და ერთი ლეწა-მტვრევით ჩაიფეხვებოდა ძირს ხეობაში სულ ნაკოდლებათ გადაქცეული. დაივიწყებდა მაშინ იმას ყველა. თუ აქამდე ამ ზეხმელს კოდალა უკაკუნებდა თავის მაგარ ნისკარტს და ერთი ფერდობიდან მეორეში გაისმოდა მისი კრიალი, ეხლა აღარც ეს ხმაურობა დაარღვევდა ტყის სიჩუმეს. ზეხმელს კი, თავის მეზობლებში გამოწყვეტილს, ახლა სხვა პატრონი გამოუჩნდებოდა: —ან თოვლის ზვავი მიათრევდა ჭალისკენ, ან ზაფხულის ნიაღვარი მიაქანებდა ქვებთან და მიწასთან ერთათ ქვეით, შორს. მინდვრათ, სოფელში, სადაც ტვირთ დამძიმებული ნიაღვარი სტოვებდა ჯერ ქვებს, მერე თიხას და ბოლოს ვაკისაგან შეშინებული სადმე მურყნებში მიჰლამავდა ხოლმე ამ ტყის ცხედარსა. აქ გამოუჩნდებოდენ ახლა სხვა ახალი ჭირისუფლები და სიხარულით მიათრევდნენ ცეცხლზე დასაწვავათ.

ზოგი კი იქვე ტყეში რჩებოდა, მამა-პაპათა სასაფლაოზე, ისხამდა კალმახა სოკოს, გაზაფხულისა და შემოდგომის წვიმისაგან გაჟღინთული.

იმის გაშავებული ქერქის ქვეშ იმალებოდენ მრავალნი მსხვილი და წვრილი ჭია-ღუანი, ხრავდენ, ღრღნიდენ და ბოლოს ნაღერღლათ ქცეული, იფუშებოდა მიწაზე და აპოხიერებდა იქვე ნამპალში ამოსულ ჟოლსა და მწვანე მაყვალსა.

უყვარდა კოდალას ეს ტყე, უყვარდა და შემკვდარებულიცა ჰყავდა ამ ტყესა. უყვარდა და ასე ფიქრობდა, ვითომ ამ ტყეს გარეშე იმისი სიცოცხლე სიკვდილი იქნებოდა. იცოდა კოდალამ ამ ტყეში თითოეული ხე. ხომ უთვალაკი ხე იდგა ამ უღრანს ტყეში, მსხვილი, თუ წვრილი, მაღალი თუ დაბალი, ტლუ თუ ტოტიანი, საღი თუ ჭიანი და დაძაბუნებულ—ფუღუროიანი. მთელ დღეს დილიდან საღამომდის კოდალაც ამ ხეების ალერსსა ჯ შინ-ჯვაში იყო. ხან ტანზე აეკვროდა ჯ კვერივით ურახუნებდა თავის სატეხე ნისკარატს, ხან წვერებში მოექცეოდა და იქიდან დასჭყიოდა თავზე მიბინარებულ ტყეს.

— კრრ! კრრ!! ისმოდა გაუწყვეტელი კოდალას ნისკარტის კრიალი ამ სამარესავით მიყუჩებულს და ხმა ჩაკმენდილს უდაბნოში, აქ ხომ ბუზის ბზუილიც კი არ ისმოდა ხოლმე! ძირს, თითქო სიცოცხლე მოსპობილაო, არც ბალახი, არც მწვანე ფოთოლი. სიცოცხლე მხოლოდ წვერებში ეტყობა ამისთანა ტყესა. სადაც მზე უხვათ ანათებს, ფოთოლიც იქ ასხია, მწვანე ხასხასი, ნაყოფიც იქა მწიფდება და მწერებიც იქა ბზუიან.

დაჰკრავდა კოდალა ნისკარტს სადმე ხმელ ხეს და ეს ხმა თოფის ხმასავით მოეცემოდა ამ უდაბარს ტყესა; ხან მიჩუმდებოდა, ხან ზარივით რეკავდა და ხან, როცა ხეობა ჰქონდა გასასვლელი, ზვავის ხმასავით გაჰხვიოდა.

უყვარდა ტყეს ეს ხმა. იამებოდა გულში, დევივით აყაყულს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტოტებ ჩამოლეწილს და ღარიბ-ღატაკ კაცივით გაბიბვლებულ-ზეხმელს, და ალაგ-ალაგ რომ ძონძებივით ეკრა ხმელი, ნახევრათ აყრილი და ძირს გადმოკიდებული დაფუტუროვებული ქერქები—კანკალს იწყებდენ.

არ ვიცი, იქნება ისინი კანკალებდენ და თახთახებდენ ქერქს ქვეშ, რომ ჭია-ღუები, ღელატუები, ბუჭყები და ათასი მილეთის მწერი იფარავდა თავსა! კოდალა ამათი სულთა-მხუთავი იყო.

თუ ტყეს იამებოდა იმისი ნისკარტის ძგრიალი, ჭია მატლებისთვის სიკვდილის ხმა იყო. ელდა ნაკრავნი ხის ნახვრეტებში აფარებდენ თავსა.

— კრრ! კრრ! უკაკუნებს კოდალა თავის სატეხესავით მაგარ ნისკარტს საღ შიმელასა:—ხომ საღათა ხარ, შიმელავ, ყანდი ხომ არსად გაგიჩნდა? ხომ იცი, თუ ყანდი შეგეპარა, ის ამოსავარდნელი ჭია-მატლებიც მაშინვე გაჩნდებიან და მშვიდობით შენი მოსვენება. მუდამ დღე რო მკურნალივით ჩამოგივლით და გშინჯავთ, ეს იმიტომ, რომ არ მინდა ჭია-ღუებმა შეგჭამოსთ, აბა ზეხმელს კი რაღა ვუყო? იმას მე ველარ გავაცოცხლებ, ჭია მატლები-ღა ხარობენ იმაზე.

— რას იმალებით, ჭია-მატლებო? სინათლეზე გამოდით, მე გახლავარ კოდალა, თქვენი სულთა მხუთავი, აქა მაქვს ჩემი ნისკარტი —სატეხე და ენა—ჩანგალი. სად წახვალთ? ქვესკნელს ხომ ვერ ჩაძვრებით, მალე ამოგათრევთ მზეზე, თეთრათ რო დასუქებულხართ და რძე გაგდით.

ასე ემუქრებოდა შავი დიდი კოდალა, ყვითელ ნისკარტიანი. ფრენაში იმის მხრებსაც ისეთივე ხმა ჰქონდა, როგორც ხმელ ქერქზე იმის ნისკარტსა.

არც ჭრელი კოდალა იყო ნაკლები მტერი ჭია-ღუებისა. ისე დარბოდა ხეზე, როგორც თაგვი მშრალ დედა-მიწაზე, ისე მი-

ეკვროდა ხოლმე ხის ღერს თავისი გრძელი კლანჭებით და მაგარი შუბებივით ფრთების ბოლოთი, როგორც ტკიპი. თან უბრახუნებდა და უბრახუნებდა გარედან ხეს, რომ შეშინებული მწერები მზეზე ამოეყვანა.

გავიდა ხანი. პატარა შიმელები დიდი ხეები გახდნენ, დიდებს წვერები დაახმა და ყანდი შეუვიდათ, ზეხმელები დაიფეხვნენ და კუნძები-ღა დასტოვეს. ტყეს კაცის ხელი შეეპარა. ცულის ხმა გაისმა და ტყესაც ტანში ერუანტელმა დაუარა. აქამდე თუ კოდალა არაკრაკებდა ნისკარტსა, ახლა ცულმა დაიწყო კაკუნი.

დაწვნენ ძირს დევივით წიფლები. იჩეხებოდა შიმელები, როგორც კაცის ხელით, ეგრეთვე მოჭრილი ხეებისაგან, რომლებიც თავის სიმძიმით წვერიდან ძირამდე ჰყვლეფდენ ტყის მორბედსა.

ეჩოთირებოდა ყრუ კუნჭულებში ტყეს ცულის ხმა.

— ეს როგორი კოდალა მოსულა, რომ მაგრე მაგრა სცემს იმ ოხერ ნისკარტს, ტანი სულ მიკანკალებს! ეკითხებოდა ხავსიანი არყი ცაში ატყორცნილ თელას.

— არ გინახია? რა ჯურაა? ან რა ნისკარტი აქვს მაგრეთი?

— ეგ კოდალა როდია, გამოეხმაურა იფნი,—მაგას ცული ჰქვიან. არ არის კარგი, ძმაო, რომ აქ ცული აჩქამდა.

— ახლა კი დივიღუპებით, საშველი აღარა გვაქვს, სუ ძირიანათ დაგვჭრის და შეათხელებს ამ ჩვენ ხალხ მრავალ ოჯახსა.

— აბა ვისაც გვევიწროებოდათ აქ დგომა და მეზობლის მოშორებას ნატრობდით, ეხლა უნდა ყველამ მოვცალოთ ეს ადგილი და სხვას დავუთმოთ. ვინ იცის ჩვენი მიწა-წყლით ვინ გაიხარებს!

— ვინ იცის ჩვენთა მამა პაპათა ძვლებს ვინ ამოჰყრის და იმათ ადგილს თავის მკვდარს დაჰფლავს?! ვის უნდა დარჩეს ჩვენი სისხლით გაპოხიერებული მიწა! აი დედასა! ამბობდა მწუხარეთ იფნი.

— ამბობენ, რომ ცულში თურმე ჩვენივე მოძმეა გაყრილი, ჩვენი სისხლი და ხორცი, ჩაურთო რცხილამ, — თორემ უმისოთ ცული ჩვენ რას გვიზამდა!

— უნდა გავიგოთ, ვინ მოიყვანა აქ ცულიანი კაცი, ვინ ასწავლა ეს ჩვენი მშვიდობიანი კუთხე, ბუზღუნებდა ცაცხვი, — რომ ვუცქერი ლამის ზეზეულათ შიშით სული ამოძვრეს. მერე ხომ მოძმეტებულათ სულ ცაცხვს არჩევენ, ადვილათ სამუშაო ხე არის. კოდებს, სადღვებლებს, კასრებს სულ ცაცხვისაგან აკეთებენ. დიდებს ხომ სადღვებელ-კასრებისთვის სჭრიან, ქორფა ბაყილოებს კიდევ ტყავს აძრობენ, უნდა მუში გავაკეთოთო.

ასე ლაპარაკობდენ შეშინებული ხეები, მაგრამ ცულს აბა სად გაექცეოდნენ. ცულიც თავისას არ იშლიდა, სად ნაყვერს აკათებდა, სად ახოსა სჩეხავდა, სად საანეულეთ შეშას აკეთებდა. ტყე კი დრტვინავდა, შიშის ზარით მოცული.

კოდალა სადღა-იყო?

ის ერთგულათ ადგა თავის საქმეს და ბეჯითათ აცლიდა ჭიამატლებს დაზიანებულ ხეებს. რაკი ტყე შეთხელდა, კოდალაც თითოეულ ხეს უფრო მალ მალე ეწვეოდა ხოლმე და წინანდებურათ გაჰქონდა რაკრაკი იმის ნისკარტსა.

გაუჭირდათ საქმე ჭია-ღუებსაც კოდალასაგან, სწყდებოდენ, იმუსრებოდენ და სამაგიეროთ ხეები ისვენებდენ იმათგან.

აკაკუნებდა ცული, აკრიალებდა ნისკარტს კოდალა და ტყე კი კვნესოდა. სადღა, იყო წინანდელი მდუმარება ტყისა და სიმშვიდე?

— ვიღუპებით, ვიღუპებით, გმინავდა ტყე.

— ვიღუპებით, ვილევით, წუოდენ ჭია-ღუები, უნდა ჩვენ თავს რამე ვუშველოთ!

ამ დროს კი ხის ფუტუროებში, ქერქის ქვეშ, ნახვრეტებში, ნაროკალებში, ყანდებში, ნაცულარებში, სადაც კი ჭია-ბუჭყების საბუდარი იყო, ერთი ჩურჩული და მითქმა-მოთქმა იდგა.

რაღასაც ეპირებოდენ ჭია-ღუანი, ჰქონდათ ერთი მიდენ-მოდენა და მგზავრობა. რომელსაც თავის დღეში გარეთ არ გამოეხედნა, ეხლა მიცოცავდა დიდი ზეხმელისაკენ, სადაც, ეტყობოდა, ჭიამატლებს კრება ჰქონდათ; ზოგი მირბოდა, ზოგი მიფრინავდა, ზოგი მიცოცავდა, ზოგი მიითრეოდა, ზოგი მიფორთხავდა.

რა ჯურის ჭია-ღუანი და ბუჭყები არ იყვნენ აქა?—დიდი რქიანი ბუჭყა, ირემივით რო რქები აეშვირა; ლორწიანი ლოკოკინა, გზაზე რო ბჭყვრიალა კვალს ამჩნევდა. მზომელაც ორჩოფეხასავით მიაბოტებდა და ზომდა გზასა.

თეთრი გოდორ-გოდორა მატლებიც მიგორავდენ, მუცელ დასიებულები. ესენი იყვნენ, რომ მზისა ეშინოდათ და თავის დღეში სინათლეზე თავს არ ამოჰყოფდენ, სუქდებოდენ ისე ბნელაში და ახლა კი გაებედნათ და აღარ ეშინოდათ სინათლისა.

რა ჯურისა და რა ყაიდის ბუჭყები არ იყვნენ აქა: შავები, ნაცრის ფერები, ყავის ფერები, ოქროსავით ბჭყვრიალანი, ლურჯები შუშის მძივებივითა. მხრიანნი, უმხრონი, დიდრონნი და თვალით უხილავნი.

სხვა მწერებიც კი ბუზის მოდგმისანი, რომელნიც მუდამ ხის ფოთლებ ქვეშ და ტოტებს შუა იმალებოდენ, ან ბალახს ეფარებოდენ, ისინიც კი იქ მიფრინავდენ. ეშმაკ ცხენაც ისარივით გამალებული იქითკენ მიაქროლებდა.

ბაურაც კი, რომელსაც თავის დღეში პირუტყვთა სისხლის მეტი არა ეწოვნა-რა, ისიც იქ მიფრინავდა.

ხილის მჭამელნი და დამჭიანებელნიც იქითკენ მიეშურებოდენ.

გაივსო ზეხმელი ჭია-ღუებით და ბუზანკალ-ბუჭყებით.

ძირიდან წვერამდე მთელ ათ შეხურხლულიყო, თრთოდა და ზიმზიმი გაჰქონდა, თითქო ცოცხალ არსებათაგან აშენებულაო.

სადაც კი ერთი ბეწვა ადგილი ჰქონდა ზეხმელს, სულ ბუჭყებით იყო სავსე. ადგილი რო აღარ იყო, ერთმანეთს-ღა ასხდებოდენ ზურგებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სად მიძვრები აქა? ვერა ჰხედავ ჩვენც ფეხაფეხ ვერ ვ-ტევით ამ ერთი ბეწვა ხვრელში, გასწი ისევ გარეთ, უჯავრდებოდა ბატილასავით თეთრი მატლი—ნათელს, ზორბა ლეკის ჭიანჭველასა, რომელსაც მსუქანი მატლის სუნი მისვლოდა და პირის ჩაგემრიელებას ლამობდა.

— ნუ გეშინიან, მე ხომ აქ სადგომათ არ მოვსულვარ, მინდა ცოტა ხანს ყური დავუგდო, რას გადასწყვეტს ყრილობა, მოიგოდიშა დიდმა ჭიანჭველამ, ამ წუთში ისევ წავალ.

— ბზზ! ბზზ! რას შეჰყრილხართ ამდენნი, რას აპირობთ, თქვე ჭია-მატლებო, თქვენი ერთათ შეყრა სახეირო არ არის. გინდათ ტყიდან კოდალა გააძეოთ, ჰა?—ჩაეკითხა გაჯავრებული ფუტკარი.

— გინდათ რაღა, რომ მერე ტყე თქვენ ნებაზე დაგრჩეთ და რაც დათ ისა ჰქნათ, ჰა?

— ვინღა იქნება მერე თქვენი კბილის დამჭერი და შიშის მომცემი. ჩემთვის კოდალას არა დაუშავებია-რა, პირიქით თქვენგან მოსვენება არც ჩვენა გვაქვს, კოდალას უნდა ვუმადლიდე, რომ ჩვენ მონაგარს სულ თქვენ არა ჰყლაპავთ.

— რასა ბზუკუნებ მანდა, ვიღაც ბზუილა მოთრეულხარ, ხომ არ გინდა მოგისიო ბიჭები და კუდით ქვა გასროლინო, დაემუქრა ჩრჩილი ფუტკარსა.

— თქვენ ეი, ხალხნო და ჯამაათნო! სმენა იყოს და გაგონება: თქვენ ყველანი მიცნობთ, რომ მე ვარ ჩრჩილი, კაი გვარის შვილი და გამრავლებული მოდგმისა. ჩემისთანა გამოცდილს სიზმარიც დაეჯერება, განა თუ სიტყვა და დარიგება არ გაიგონოთ ჩემი. ხომ იცით, აქ რისათვისაც შევყრილვართ; ყვირილს კი ნუ მოჰყვებით, რომ ტყემ არა გაიგოს-რა. ჩვენი საქმე ისე საიდუმლოთ უნდა გავაკეთოთ, რო ჩვენვე გვიკვირდეს, „მჩხავანა კატა თაგვს ვერ დაიჭერს“. ყველას გაგონილი გექნებათ კოდალას სახელი. არა მგონია თქვენში ისეთი სულელი იყოს ვინმე, რომ კოდალა მეგობრათ მიაჩნდეს, როგორც წელან უგვარო ფუტკარი

ბზუოდა, თუ ეხლავე არ ვუწამლეთ ჩვენს თავს, მერე გვიანღა იქნება. აბა ვინ არ დამეთანხმებით, რომ ტყე ჩვენ საჭმელათ გაუჩენია ღმერთსა. კოდალა კი დაგვდგომია და ლამის ჩვენი სახსენებელი მოსპოს. ან განა ჩვენ იმდენ ზიანს ვუშვრებით ტყეს, რამდენსაც კოდალა? აი თუნდა ემ ზეხმელსა ვკითხოთ. ჩვენ რო ხესა ვხვრეტთ, თავშესაფარს ვიკეთებთ, რომ დავემალოთ კოდალასთანა გაუმაძღარ სულიერთა. ან ხეებს რათ უნდა სწყინდეთ, რომ ჩვენ ჩვენს თავს გავუფრთხილდეთ, მაშ რა ვქნათ, დავსხდეთ მზეზე და დავუძახოთ გამვლელ-გამომვლელს, მოდი და შეგვჭამეო! აბა ახლა კოდალას საქციელი გავშინჯოთ. იმასაც ხომ არ ეშინიან, რომ ვინმემ არ შეჭამოს, რას მისდგომია ამ მშვენიერ ხეებს და რას უბრახუნებს თავებში, თითქო შინჯავს, რომელი ღრუა და რომელი საღი გულის მქონებელია. რათ აჯულურებს, რათა ჰკორტნის? აბა თუნდა ამ მშვენიერ ზეხმელს უყურეთ, ირგვლივ ისე მოჭვრითა, რომ თითოეულ ნახვრეტში მკლავი შეეტევა. მერე შიგ ბუდესაც გაიკეთებს და არხეინათ ჩაჯდება, თბილათ და რბილათ, მე ვიცი წყალი დაასველებს. ე ჩვენც ხომ აქვე ახლო ვართ, გასუქდება თვითონაც და ბარტყებსაც გაასუქებს.

— ვინ მოიყვანა აქ ცული, თუ არ კოდალამ? კოდალამ უქო ცულს ეს ტყე და გზაც მაგან ასწავლა, ბრალი კი ჩვენ გვედება.

— ჩემი აზრი ეს არის, სთქვა დაბლა ჩრჩილმა, რომ ხეებს არ გაეგონათ, უნდა წახვიდეთ ყველანი, მოედვნეთ ტყესა და ჩააგონოთ ყველას, რომ ცულის შემოსვლა ამ ტყეში კოდალას ბრალია-თქო, რომ კოდალას უნდა ეს ტყე სულ ძირიანათ გააკაფინოს და თუ მალე არ მოიშორეთ თავიდან კოდალა, ცუდათ არის თქვენი საქმე თქო. როცა ამას ავასრულებთ და კოდალას თავიდან მოვიშორებთ, მაშინ დადგება ჩვენთვის ბედნიერი დღე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აბა, თქვით თქვენც, ვისაც გაქვთ რამე სათქმელი. მე ვთქვი და გავათავე. სთქვა ხმა მაღლა ჩრჩილმა.

ბევრმა სთქვა თავის თავგადასავალი და კოდალასაგან მიყენებული უბედურება. ერთი იძახდა, დედაჩემი კოდალამ ჩაყლაპაო, სხვა იძახოდა, მთელი ოჯახიდან მარტო მე გადავრჩიო. მესამე ამბობდა, ჩემი კვერცხები და მატლებიც იმან დაყლაპაო, მეც რაღაც სასწაულით გადვურჩიო.

დაადგნენ ერთ პირს და დაიშალნენ;. მოედენ ტყესა და დაიწყეს კოდალას წინააღმდეგ ქადაგება.

— ცული ჩვენთვის საზარალოა, თუ სასარგებლო? ჰკითხავდა წითელი ბუჭყა ცოფის ჭიას.

— შე, სულელო, პირიქით ჩვენთვის ცული დიდი მარგებელია. აბა საღ ხეებს ჩვენ რას გამოვრჩებით. მაგრამ როცა ცული მიწაზე დააწვენს ამ ბუმბერაზებს, მაშინ კი ჩვენი საქმელი გახდებიან.

თუ ცული არ მოვიმიზეზეთ, მაშ როგორ შევაძულოთ კოდალა ტყესა. განა ცოტაა ჯერაც ტყეში სულელები, რომელთაც ცულის კაკუნი კოდალას ნისკარტის კრიალი ჰგონიათ?

გავიდა ხანი. ვინც ამ დროს ტყეში შეესწრო, ის გაიგონებდა რა საზარლათ ხმაურობა ტყე, დრტვინავდა, შფოთავდა, ხვიოდა, გუგუნი გაჰქონდა. კაცს ამ ხმაზე ტანში ჟრუანტელი უვლიდა.

— გავდევნოთ ტყიდან კოდალა, გავდევნოთ! ბღუოდა მუხა, თითქო ფულუროში ქარი უბერავსო.

— მოვკლათ, გავსრისოთ, მოვიშოროთ თავიდან, თორემ სულ დაგვღუპავს! ჭრიალებდა ქორაფი. ვერ გაიგონეთ, ჩრჩილი რას ამბობდა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გავაგდოთ, აღარ შემოვადგმეინოთ ფეხი ტყეში, შრიალებდა ვერხვი. ერთი კოდალას მოშორება რას გაგიძნელდათ? ვინც კიდევ მიიკაროს ახლო, ძირიანათ ამოვაგდოთ ტყიდან.

— ეგრე! ეგრე! მაგან გააოხრა ჩვენი ტყე, მაგან მოიტანა აქ ცული, სულ მაგისი ბრალია, რომ ჩვენ ასე ვიღუპებით! — ჭრაჭუნებდა დგნალი.

ერთი თხილი იდგა ჩუმათ, არ ვიცი, რაკი ყველაზე დაბლა იდგა და ყველაზე პატარა იყო, თუ იცოდა რამე და იმიტომ მდუმარებდა.

განდევნილი კოდალა უცხო ქვეყანაში გლოვობდა თავის საშობლო ტყის უბედურებას და მოელოდა იმ დღეს, როცა ჭიაღუებთან საბრძოლველათ ისევ დაბრუნდებოდა თავის მშობელ ტყეში.

თ. რაზიკაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულმა გული იცნო

(რუსულიდან)

რთი ყმაწვილი დაკოდილ ფრინველისავით ფართხალებდა ქვეშაგებში. სახე გაფითრებული ჰქონდა. თვალები დაეჭყიტა, თითქო რაღასაც ფიქრობდა...

ოთახში წამლების სუნი იდგა, ფანჯარაზე ფარდა-ჩამოშვებული იყო და ამ სიბნელეში ყმაწვილის დიდრონი თვალები უფრო დიდრონათ, უფრო ცხოვლათ მოჩანდენ.

ოთახი ძალიან ღარიბულათ იყო მოწყობილი; ორი უბრალო ხის სკამი იდგა და ფანჯარასთან მიდგმული იყო ხისავე მაგიდა, მხოლოთ აეათმყოფის საწოლი სუფთათ და გასპეტაკებულათ გამოიყურებოდა.

— შენ კიდევ აქამდის არ გძინავს, ჩემო ბიჭუნიავ! — თქვა ბებიამ და ჩააცქერდა თვალებში ყმაწვილს. — დაიძინე შენი ჭირიმე, უკეთ შეიქნები!

— თავი დამანებე, ბები, თავი დამანებე! ნუ მიშლი ფიქრს! — უპასუხა ყმაწვილმა.

მოხუცებულმა ნელა ამოიოხრა და გავიდა ოთახიდან. მისმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვილი-შვილმა ორივე ხელები იტაცა თმაში და დიდ-ხანს იყო ამ მდგომარეობაში.

რაზე ფიქრობდა ყმაწვილი?

თითონაც ვერ გამოერკვია თავისი აზრები, ესმოდა რომ მის თავში რაღაც ხმაურობაა, თითქო მღერიან, ოხვრა-კვნესაა. თვალ-წინ ეშლებოდა მოუთავებელი სურათები, მოჩვენებანი, რაღაც იდუმალი ჰარმონიული ხმებით შეზავებული. თითქოს ესმოდა შორიდან უცნაური ტკბილი სიმღერის ხმები, სმენათ გადაქცეული ყმაწვილი თავს ძალას ატანდა, გაიყურებოდა სიბნელეში. ერთბაშათ დუმილი ჩამოვარდა. მაგრამ პატარა ხანს უკან ისევ-ისე მოესმა გულ-წარმტაცი უცნაური ხმები...

— რა ამბავია? სადა ვარ? რა მემართება?..

ამ დროს ბებია შემოვიდა ოთახში.

— ბები, განა არ გაიგე? ვიღაც მღერის, ვიღაც უკრავს მუსიკას!..

— სადა? რას ამბობ, ჩემო კარგო, არ მესმის გვრიტო! დაიძინე, დაიძინე, დახუჭე თვალები!..

— არ მეძინება.

ბებია მოუჯდა მის ქვეშაგებს, საბრალო ფერ-მიხდილ მოხუცებულს თვალები სავსე ჰქონდა ცრემლებით.

— მითხარ, რა გინდა ჩემო გვრიტო? გინდა მოგიტანო ნახატებიანი წიგნი?

ყმაწვილმა უარის ნიშნათ თავი გაიქნია.

— გინდა სათამაშო ცხენს გიყიდი?

— არ მინდა.

— ზღაპარი გიამბო?

— არც ეგ მინდა.

ყმაწვილმა დაიწყო გაშტერებით ხელ-ახლათ სიბნელეში ცქერა, ყურის გდება, ხელ-ახლათ მოესმა ვიღასაც ნაზი და გულ-წარმტაცი ხმები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ბები!—დაიყვირა ბავშვმა.—ახლა კი ვიცი რაც მინდა! მინდა მუსიკა გავიგონო! მინდა გავიგონო იმ კაცის დაკვრა, რომელიც ამას წინეთ სკრიპკაზე უკრავდა.

—ღმერთო ჩემო, რა უცნაური სურვილია!—ფიქრობს ბებერი,—საკკარის დაკვრის გაგონება უნდა, იმ სახელ-განთქმული სკრიპკის დამკვრელის და უდიდესი არტისტის, რომელსაც მთელი პარიჟი მოჰყავს აღტაცებაში და რომელსაც ჩვენისთანა ადამიანი ახლოსაც ვერ გაუვლის!.

ავათმყოფობის წინეთ ერთხელ ბიძამ ყმაწვილი კონცერტში წაიყვანა. რა შესანიშნავი დაკვრა გაიგონა! აქამდის ავათმყოფის ყურში შორიდან ისევ მოისმის საოცარი მოლოდია და ყმაწვილი გრძნობს სულით და გულით, მთელი არსებით, რომ შესაძლოა ისიც, ყველასათვის უცნობი, საწყალი, ღარიბი ბავშვი გამოჩენილი მუსიკის დამკვრელი გახდეს.

ბებია თავს აქნევდა და ფიქრობდა:

— როგორ, მოვიწვიო აქ, ამ ღარიბ ქოხში, იმისთანა გამოჩენილი დამკვრელი?! ეს ისე შეუძლებელია, როგორც თვით ხელმწიფის მოყვანა ჩემთან!..

ყმაწვილი თანდათან ღელდება, მუსიკის ხმები ერევა თავში.

— მუსიკა, მუსიკა მინდა!—ბოდავს ყმაწვილი—საკკარი მომგვარეთ!..

მოხუცებულმა მოინდომა ის, რის ასრულებაც შეუძლებლათ მიაჩნდა; საჩქაროთ დაიხურა შლიაპა, წამოიგდო მხრებზე შალი, ჩქარის ნაბიჯით ჩაირბინა ძველ კიბეზე და ისე სწრაფათ გასწია, როგორც მის მოხუცებულ მუხლებს შეეძლო და ბოლოს შედგა ძვირფას სასახლის წინ, სადაც საკკარი იდგა.

— რაზე გარჯილხართ?—ჰკითხა ამაყათ მდიდრულათ მორთულმა კარის კაცმა და ზიზღით აათვალ-ჩაათვალიერა ღარიბათ ჩაცმული ბებერი დედაკაცი.

— უნდა საკკარი ვნახო!—ბუტბუტებდა ბებია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სახლში არ არის!—მოკლეთ და მკვახეთ უპასუხა კარის კაცმა და ცხვირ წინ მიუჯახა კარები.

ამ დროს სახლს მიუახლოვდა ორი კაცი.

— კონცერტამდის ორი საათია კიდევ, წავიდეთ ყავახანაში, მანამ ვიყოთ იქ!—თქვა ერთმა. და ეს იყო თვითონ საკკარი. მან დაინახა მოხუცებული დედაკაცი, რომელმაც ახსენა საკკარის სახელი და მიუახლოვდა. ბებერი დაფანტულივით ისევ ისე იდგა სახლის კარებ წინ.

— ვინა გნებავთ? ჰკითხა საკკარმა.

— საკკარი მინდა ვნახო... კრძალვით იმეორებს მოხუცებული და ცრემლები მის დამჭკნარ სახეზე ღაპა-ღუპით ჩამოდის.—ღმერთია მოწამე რომ, მისი შეწუხება უბრალო რამისთვის არა მსურს... ჩემი საყვარელი ერთათ ერთი შვილი-შვილი გამიხდა ძლიერ ავათ... მიკვდება... ბიოდავს საკკარი დამანახვეთო... სულ ის ელანდება, უნდა მისი დაკვრის მოსმენა...

საკკარიმ ხმა არ ამოიღო. მერე უცბათ მობრუნდა, დაუძახა კარის-კაცს და უთხრა:—საჩქაროთ მომიტანეთ ჩემი სკრიპკა და ეტლს დამიძახეთ... მერე მიუბრუნდა თავის ამხანაგს, დახედა საათს და უთხრა:

— ორი საათი კიდევ დრო მაქვს, მოვასწრობთ დროზე მოსვლას...

სამივე ჩასხდენ ეტლში და წავიდნენ იმ სახლში, საცა მოხუცებული იდგა.

სახლის მდგმურებმა, რომ ნახეს როგორ ადიოდენ მეექვსე სართულის კიბეზე მოხუცებულთან ერთათ ორი კარგათ ჩაცმული უცნობი კაცები, ერთმანეთს უთხრეს.

— უსათუოთ ბებია ბლანშირს პაწია მძიმეთ ავათ ეყოლება, რომ ორი ექიმი მოჰყავს!

სკრიპკის ბუდე რომ დაინახეს ძალიან გაოცდენ.

მალე ამ ღარიბ ოთახიდან მოისმა ჯერ ნელი, ტკბილი დაკვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა და მერე თანდათან მომხიბლავი, გულის გამტეხი ხმები. ვერა მეზობელმა ვერ შეიკავა თავი, ყველამ საქმეები უკუ აგდეს და მეექვსე სართულის კიბის თავზე, ბებრის ოთახის კარის წინ მოიყარეს თავი. მოხიბლულნი იდგენ, გულზე დაეკრიფათ მძიმე მუშაობისაგან დაკორძილი ხელები და გულის ფანცქალით უგდებდენ ყურს მუსიკას. ყმაწვილი წამომჯდარი ქვეშაგებზე გულის ტოკვით, დათვალებ დაჭყეტილი, სახეზე ბედნიერი ღიმილით უგდებდა ყურს...

როდესაც არტისტი პირველათ შევიდა მის ოთახში, ჩამოართვა ყმაწვილს გაცხელებული ხელი და დააპირა დაკვრა, ავათმყოფმა ნელის ხმით, არც კი ისმოდა ისე წაილაპარაკა:

— მე ვიცოდი რომ მოხვიდოდით!..

ყმაწვილი სმენათ გადიქცა. საოცარი ხმები ათრობდენ მას, ზოგჯერ ტანში ჟრიანტელი გაუვლიდა, თვალები გაუბრწყინდებოდა, როგორც კაი ნიჭის დამფასებელს. მთელი საათის განმავლობაში უკრავდა საკკარი...

ბებია ცრემლებ მორეული შესცქეროდა თავის შვილი-შვილს.

გაათავა თუ არა დაკვრა საკკარი მივიდა ყმაწვილის საწოლთან, დააშტერა მას თვალები და ჰკითხა:

— შენც გინდა მემუსიკე გახდე?..

— ჰო!.. დაბალი ხმით უპასუხა ყმაწვილმა და თვალები სიხარულით და ბედნიერებით აენთო.

— მაშ, მალე გახდი კარგათ ჩემო კარგო. თვალებზე გატყობ, რომ არტისტი გამოხვალ... გენიოსობა იაფათ არ უჯდება ადამიანს, ხშირათ უზომო ტანჯვასაც მიაყენებს, თუმცა ამასთანავე ზოგჯერ სასიამოვნო წუთებსაც აგრძნობინებს!.. უთხრა საკკარიმ ყმაწვილს, ხუჭუჭ თმიან თავზე გადუსვა ხელი, მერე აკოცა ბავშს, თავი დაუკრა მ[illegible]ულებულ ქალს და გავიდა ოთახიდან. მას აღტაცებული ტაშის კერით დაუხვდა ხალხი კიბის თავზე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— საკკარი! საკკარი! ყვიროდა ხალხი და ეხვეოდა გარშემო ... არტისტს.

ერთ საათს შემდეგ იგი უკრავდა მშვენივრათ განათებულ ყვავილებით მორთულ დიდ დარბაზში, რომელიც სავსე იყო ძვირფასი ტანისამოსით მორთულ ქალებით და კაცებით. ყველა გაოცებული იყო საკკარის დაკვრით! თავის დღეში მას არ დაუკრავს ასეთი სავსე გრძნობით და აღტაცებით, როგორც დღეს ფიქრობდა ყველა. დარბაზში სიჩუმე იყო. მხოლოთ მოისმოდა მომხიბლავი სიმების ხან ძალოვანი და ხან ნაზი, ჰარმონიით სავსე ხმები.

საკკარი არა ხედავდა არც დარბაზს, არც ხალხს. თვალწინ ელანდებოდა პატარა ღარიბათ მორთული ოთახი, სადაც ქვეშაგებზე იჯდა ავათმყოფი ყმაწვილი დიდრონი აღგზნებული თვალებით. ჯერ არც ერთხელ მის დაკვრას ასეთი აღტაცება არ გამოეწვია! დარბაზი ირყეოდა და ხმაურობდა ტაშის კვრისაგან, მაგრამ არტისტის ფიქრები გარბოდენ შორს, შორს ამ მორთულ სახლისაგან...

ბებია მთელ ღამეს უჯდა გვერდით შვილი-შვილს. მას აქეთ რაც ბავში ავათ გახდა, მას ბევრი ღამეები გაეტარებინა უძილოთ. მაგრამ ამ ღამეს ყმაწვილს ეძინა მოსვენებით, უსიცხოთ, უბოდვოთ.

ავათმყოფი დილით უკეთ შეიქნა. მის გამხდარ ლოყებს ცოტა ფერი მოუვიდა. ამავე დღეს ყმაწვილს მოუვიდა საჩუქრათ საკკარისაგან ყვავილების თაიგული. შიგ თაიგულში იდო პატარა სკრიპკა. ყმაწვილი დღითი-დღე უკეთ ხდებოდა. რამ იმოქმედა ყმაწვილზე? სრულმა ბედნიერებამ თუ თვითონ აგებულება ჰქონდა ამგვარი რომ გამობრუნდა? იქნება ორივემ უშველა.

ყმაწვილი სრულებით გასაღდა. იგი საკკარის მოწაფე გახდა და ბოლოს ერთი საუკეთესო მემუსიკე გამოვიდა.

ან. წ—ისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მეფე მიდასს ვირის ყურები გამობმია!“

(ოვიდიუსიდან)

ფრიგიის მეფის მიდასის საბრძანებელში მხიარულების ღმერთმა დიონისიმ ჩვეულებრივი ნადიმის დროს თავისი გულითადი მეგობარი სილენი დაჰკარგა მეგობრის მოულოდნელმა დაკარგვამ დიონისი მეტათ შეაწუხა. სილენი დიონისის ნადიმის და დროს გატარების სული და გული იყო და ამიტომაც სწუხდა იგი მეგობრის უეცრივ დაკარგვას.

ფრიგიელები შემთხვევით წააწყდენ უგზო-უკვლოთ მოხეტიალე სილენს და დაუყოვნებლივ მეფე მიდასს მიჰგვარეს. მიდასმა პირველ შეხედვისათანავე იცნო დიონოსის გულითადი მეგობარი და მყისვე დიდის თავაზიანობით მიიპატიჟა თავის სასახლეში. მეფე დიდის ამბით დაუხდა სილენს, დიდი ნადიმი და წვეულება გაუმართა. ათი დღის განმავლობაში მეფე მიდასის სასახლეში განუწყვეტელი ლხინი და ნადიმი იყო გამართული. სილენი სულით და გულით კმაყოფილი დარჩა მეფე მიდასის მასპინძლობით. მეთერთმეტე დღეს მეფე და მისი სტუმარი დიონისის ეახლენ.

დიონისიმ სილენის პოვნით მეტათ გაიხარა და ნიშნათ მადლობისა აღუთქვა მეფეს, ყველაფერს შეგისრულებ, რასაც კი მოისურვებ და მთხოვო.

— მოწყალეო და ყოვლად შემძლებელო ღმერთო!—მოკრძალებით შეჰკადრა მეფე მიდასმა დიონისის,—თუ კეთილ ინე-

ბებთ და ჩემზე მოწყალებას მოიღებთ, ეს შემისრულეთ: რასაც მე ხელი შევახო, ოქროთ იქცეს! დიონისი ძრიელ გააკვირვა ფრიგიის ბრძანებელის კადნიერებამ, მაგრამ სიტყვის შეუბრუნებლათ შეიწყნარა მიდასის ახირებული თხოვნა.

მეფე მიდასი სიხარულით ფეხზე აღარ იდგა, მან არ იცოდა, როგორი მადლობა უნდა გადაეხადა ასე უხვი საჩუქრისათვის. მეფის სიხარულს და აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა. თითოეული ნივთი, თითოეული საგანი მეფე მიდასის ხელში მყისვე ოქროთ იქცეოდა. მეფე ბედნიერათ სთვლიდა თავის თავს. სიხარულით გატაცებულმა მიდასმა მეგობრებს და რჩეულ კარის კაცებს წვეულება გაუმართა, რომელზედაც სურდა თავისი უსაზღვრო ბედნიერება ყველასათვის ემცნო. სამეფო სუფრა ათასი სხვა-დასხვა საჭმელით შეამკეს სასახლის მზარეულებმა. მხიარული სტუმრები მადიანათ შეექცეოდენ ნუგბარ სადილს. მეფე მიდასი კი გულდაწყვეტილი შესცქეროდა მდიდრულათ შემკობილ სუფრას; როგორც კი რომელსამე თავ საჭმელს ხელს შეახებდა, იგი პირთან მიტანამდის ზოდ ოქროთ იქცეოდა და მისი შეჭმა, რასაკვირველია, შეუძლებლათ ხდებოდა. მეფე ცისმარე დღეს ამგვარათ იტანჯებოდა და მუდამ ოქროებში ჩაფლული თითქმის სიცოცხლეს ეთხოვებოდა.

მეფემ, როცა ძალზე გაუჭირდა და ამასთანავე ნათლათ შეიგნო თავისი თხოვნის სრულიად უგუნურება, ისევ მოკრძალებით შეჰკადრა დიონისის: ყოვლად მოწყალეო, დიონისი, მომიტევე, დამნაშავე ვარ შენს წინაშე, შემიბრალე, ყოვლად შემძლებელო, მაპატიე ჩემი შეცოდებანი და გამანთავისუფლე ჩემი დამღუპველი ოქროებისაგანო!“

დიონისიმ შეიწყნარა მეფე მიდასის თხოვნა და ამნაირათ იხსნა ფრიგიის მბრძანებელი აუცილებელი სიკვდილისაგან, რომელიც მას დღე-დღეზე მოელოდა თავის უგუნურობისაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამას შემდეგ მეფე მიდასი დიდი ზიზღით შეჰყურებდა ოქროებს და საზოგადოთ ყოველგვარ სიმდიდრეს, რაც კი კაცის კეთილ-გონიერ ცხოვრებას ხელს უშლიდა და აფერხებდა. მიუხედავათ ამისა მეფე მიდასმა თავისი უგუნური მოქმედებით ერთ ჯერ კიდევ, მხოლოდ სამუდამოთ კი დაისაჯა თავისი თავი.

ერთხელ ღმერთები პანი და აპოლონი ერთმანეთს გაეჯიბრენ იმის შესახებ, მუსიკის ცოდნაში თუ ვინ უფრო დახელოვნებულიაო.

ღმერთებმა დანიშნეს დრო, როცა მსაჯულებს უნდა განესაჯათ თვითოეულის მუსიკალური ცოდნა და ხელოვნება. მსაჯულთა შორის მეფე მიდასიც მოწვეულ იქმნა. აპოლონმა ისეთი ხელოვნებით ააჟღერა „კიფარის“ სიმები, რომ მთელი უტყვი და სიტყვიერი ბუნება ერთიანათ მოჰხიბლა

,,კიფარას'' ნაზი და ნარნარი ხმები მარგალიტებრ იპნეოდა ცის სივრცეში და მაყურებელთ ნეტარების გრძნობას უსახავდა გულში. მოისმინეს აგრეთვე პანის--უხეირო სიმთა ჟღერაც. მსაჯულებმა ცოტა თათბირის შემდეგ პირველობა მუსიკის ზედმიწევნით ცოდნაში აპოლონს დაულოცეს. მხოლოთ მეფე მიდასი არ დასთანხმდა მსაჯულთა განაჩენს, ფრიგიის მბრძანებელის აზრით პირველობა პანს ეკუთვნოდა.

აპოლონ ღმერთი ძლიერ განრისხდა და რომ საგრძნობლათ დაესაჯა თავისი უსამართლო მსაჯული მეფე მიდასს შესამჩნევათ დაუგრძელა ყურები და ჟღალის თმით შეუმოსა.

მეფე მიდასი ძლიერ ცუდ მდგომარეობაში ჩავარდა, აბა ვირის ყურებით შემკობილი სად და ან ვისთან გამოჩნდებოდა. მეფემ დაუყონებლივ აიხვია სამარცხვინო ყურები და გადასწყვიტა არავისთვის გაემჟღავნებინა ეს თავისი უბედურება.

მხოლოდ ამ საიდუმლოს დაფარვა შეუძლებელი იყო სასახლის კარის დალაქის წინაშე, რომელიც მეფე მიდასს მუდამ წვერულვაშს პარსავდა. მიდასმა სასტიკათ აუკრძალა დალაქს მეფის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამარცხვინო უბედურების შესახებ არავისთან სიტყვა არ დაქარა. დალაქმა, მართლაც, დიდ ხანს ინახა მეფის საიდუმლო. ბოლოს მაინც ვერ მოითმინა, გავიდა ქალაქს გარეთ, ამოთხარა ღრმათ მიწა და შიგ ჩასძახა: „მეფე მიდასს ვირის ყურები გამობმია!“ ოდა მყისვე მიწით მაგრათ დამარხა მეფე მიდასის სამარცხვინო ამბავი.

რამდენიმე წლის შემდეგ სწორეთ იმ ადგილას, სადაც დალაქმა მეფე მიდასის საიდუმლო ჩამარხა, გაშენდა სწორი და მაღალი ლერწმის ხეების ტყე. როცა ქარი ამოვარდებოდა და ნაზი ლერწმები ახოვნათ ირხეოდა, ერთი ლერწამი მეორე ლერწამს ამ რყევის დროს მათი ფესვების ქვეშ ჩამარხულ საიდუმლოს გასაგონის ხმით ჩასჩურჩულებდა: „მეფე მიდასს ვირის ყურები გამობმია!“-ო

გამვლელ-გამომვლელი, რასაკვირველია, ისმენდა ლერწმების საიდუმლო ჩურჩულს და ამ რიგათ ფრიგიის მკვიდრთა შორის გავრცელდა მეფე მიდასის სამარცხვინო ამბავი.

ს. უუმისთაველი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატარა მკითხველების წერილები.

საყვარელო რედაქტორო!

მე შემისრულდა ოქტომბრის ოც და-ხუთს ექვსი წელიწადი. მე ძლიერ მიყვარს ,,ჯეჯილის'' კითხვა, რომელსაც თქვენ მიგზავნით. ცოტა რუსულშიაც ვმაცადინობ ,,ჯეჯილში'' წავიკითხე ვანო და გულ-ყვითელა და ტობი, სხვა მოთხრობებიც თითქმის სუყველა. მე მყვანდა მამას ნაჩუქარი იადონი, მამიკვდა და ძლიერ მეწყინა. მამამ სხვა მომღერალი იადონი მაჩუქა. სხვა სათამაშოებთან მოსამართი მატარებელიცა მაქვს, რითაც მე და ჩემი ორი პატარა და თავს ვიყოლიებთ. მე თქვენი, საყვარელო რედაქტორო, „ჯეჯილებისათვის'' დიდი მადლობელი ვარ.

თამარა მაჭავარიანი (6 წლისა).

ქალ. ჩუგუევ.

ჩემო ძვირფასო ,,ჯეჯილის'' რედაქტორო!

მე მივიღე „ჯეჯილი" და ძლიერ მომეწონა: ვურჩიე ჩემს ამხანაგებს რომ გამოეწერათ მაგრამ ყვავლანი რუსები არიან. გამოვიცანი № 9. რებუსი, შარადა ამოცანა; თუ არა ვცდები ასე უნდა იყოს რებუსი: თავი ბუს უგავს ფეხი ჩალასა ნახტომა დავის ჭალასა, შარადა კი ჭაობი გამოდის.

კოლა ამილახვარი (9 წლისა).

სოფ. ქარელი. ჩვენო საყვარელო რედაქტორო!

ერთხელ მე და ჩემი ძმა ბალკონზე ვისხედით, წინ პატარა ბახჩა გვქონდა. უცბათ რაღაც წკმუტუნი შემოგვესმა, გავიქეცით ბალჩაში და დავინახეთ ბუჩქებში მწოლიარე პატარა ლეკვი, რასაკვირველია შეგვეცოდა, ავიყვანეთ ხელში და წამოვიყვანეთ. მას აქეთ რაც ეს ლეკვი ვიპოვნეთ დედას ვპარავდით რძეს და ჩუმათ ვაჭმევდით, ხან ჩვენ წილს ვიკლებდით და იმას ვაჭმევდით. როცა გაიზარდა დაიწყო ყეფა. ჩვენა გვყავს პატარა კატაც. ჩვენ ლეკვს ვასწავლეთ ფეხზე დგომა და როცა ვეტყვით დადექიო, იმ წამსვე დადგება ხოლმე. მე ხანდი ხან ვკითხულობ „ჯეჯილს" და ძალიან მომწონს.

სოფუნა ციციშვილი (13 წ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა



ა კ რ ო ს ტ ი ხ ი

(წარმოდგენილი მ. ლელაშვილისაგან)

ქვეყანა დაიმონავა
რა ცუდი საქციელითა;
იგი გვაღონებს ყველასა
სიცივის ჟრუანტელითა.
ტახტი უდგია ყინულის
ერს ემუქრება თოვლითა.
შავ-ბნელათ მოვლინებული
ომობს ძალითა ყოვლითა,
ბედისაგანა ჩაგრული,
იმას იგონებს წყევლითა!
სულსა გვიგუბებს ქარ-ყინვით,
თავსაღა ვირთობთ ცეცხლითა;
ვინმე გვიშველოს მაინცა,
ეგებ მოგვშორდეს ვერცხლითა.

(წარმოდგენილი ა. ხაბულიანისაგან)

ზარმაცი არის, ნელი ნაბიჯით,
აუჩქარებლივ მიდის წყნარათა;
მიდის და ყოველ წლითი წლობითა
თითოჯერ დიდის კარის კარათა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა ვისი აქვს მას სიბრალული,
რაც კი არსებობს ქვეყნის პირზედა;
იბობოქარებს, მაგრამ ყოველთვის
აიცილებენ მას სამ თვეზედა.

—

ა ნ დ ა ზ ე ბ ი

(წარმოდგენილი კ. სეხნიაშვილისაგან)

ღორის კუდი ნუ გექნება, თორემ ეშვები თავის თავათ გამოგებმისო.

—

წარა მარათ მავალსაო, მუცელი ატანს ძალასაო.

—

ერთი გადახტომით მწყერი არავის დაუჭერიაო.

გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი

(წარმოდგენილი მისგანვე)

მუდამ წინ მიდის ცანცარით ფეხების ბაკი-ბუკითა,
არ ეშინიან მტერისა, მიხტის გადადის სკუპითა,
მიდის გზას იკვლევს უშიშრათ, თან მიიძღოლებს ფარასა,
გულადობს არრას უფრთხება, არ ზოგავს თავის ძალასა.

(წარმოდგენილი კ. ფრონისპირელისაგან)

ცეცხლი არ არის ანათებს
და არც არა მთვარეაო,
მისი ნაპერწკალი ხოლმე
ანათებს და მდარეაო.

—

ალებ-ალებიანო,
ჩიბუხ ტარებიანო,
დღე იმალებიანო,
ღამო გამოდიანო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზ ე მ ა

(წარმოდგენილი მისგანვე)

კურდღელი ორი თუ არის
და მათ მიჰყვება მწევარი,
იცოდეს ვერც ერთს დაიჭერს
მათი ერთგული მდევარი.

—

ჩ ქ ა რ ა გ ა მ ო ს ა თ ქ მ ე ლ ი

(წარმოდგენილი კოტე სეხნიაშვილისაგან)

ყვავი, ყვავსა ნაყვავარსა
ეყვავ ესაყვა'რლებოდა.

—

ა ნ ა გ რ ა მ ა

(წარმოდგენილი მ. ლელაშვილისაგან)

პირველი არის ზღვის პირის
ქალაქი წარჩინებული;
ვაჭრობა-აღებ მიცემით
ნაქები, გამდიდრებული.
მეორე ვიწრო, სახმარი
კაბის გარსშემოვლებული,
ორივეს ოთხი ასოთი
დასწერავს მოფიქრებული.

—

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებუსი

ნ მ



ბ ი

ბადისთვის საჭირო იარადი

უარი



ი ს

ბ

ძ რ

იმერულათ ჰო.

ო

უარი

ე

რას რეკენ საყდრებზე

ქ

ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟურნალ „ჯეჯილის“ მა-XI №-სა.

გამოცანები: 1) ყურძენი, 2) ზღარბი, 3) თოფი.

ზმა: თარი, ხელი, ობი, ციხე, ილია, კუ.

ანაგრამა: მზა—ზმა.

გამოცანა: ცხენი ისე უნდა შეეცვალათ ერთმანეთისათვის, რომ არც ერთი თავ-თავის ცხენზე არა მჯდარიყო.

შარადა: დედოფალი.

რებუსი: ყვავს აფრენა უნდოდა და ხელის აქნევას უცდიდაო.

„ჯეჯილის“ რედაქციაში

იყიდება შემდეგი საკუთარი გამოცემები:

თამარ დედოფლის სურათი 1 მ. 50 კ. (გასაგზ. 50 კ.)
ალბომი „ბუნება სურათებში“ უდ. 1 მ. 20 კ. (გასაგზ. 20 კ.)
პატარა ლორდი . . . . . 30 კ.
ჩვენი ძველი გმირები . . . . . 30 კ.
თეთრი და ზანგი . . . . . 15 კ.
სოლომონ მეფე . . . . . 10 კ.
ორი მოთხრობა ეკ. ნინოშვილისა . . . . 10 კ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარჩევი

1900 წ. ჟურნალ „ჯეჯილისა“.

	№	გვ.
ლ ე ქ ს ე ბ ი		
საახალწლო სურათი დ. თომაშვილისა	I	7
ცელქი სანდრო განდეგილისა	I	25
დედა და შვილები შ. მდვიმელისა (რუსულიდან). .	II	3
*** ლექსი შ. მდვიმელისა	II	35
გიორგი წერეთლის დაკრძალვაზე განდეგილისა . .	III	3
პატარას (გადმოკეთებული) შ. მდვიმელისა . . .	III	21
მარტი დ. თომაშვილისა	III	43
ქრისტე აღდგა გ. წერეთლისა	IV	4
ზამთარი და გაზაფხული ვაჟა ფშაველასი	IV	33
გულ-დაკოდილი ნატო ვაჟა-ფშაველასი . . .	V	3
გაზაფხული დ. თომაშვილისა	V	33
ჩიტის სიმღერა ვაჟა-ფშაველასი	VI	3
ქვაბ-ქოთნის ამბავი გ. ბოკერიასი	VII-VIII	10
ვაი სიხარბემ წამწყმიდა ვ. რუხაძისა	VII-VIII	54
ტოროლა ჩიტი ვასიკო გუბელისა	IX	3
ძველი დედა დ. თომაშვილისა	IX	40
მერცხალი და ბავშვი შიო მდვიმელისა	X	3
ხალხური ლექსი. წარმოდგენილი ს. ხაბულიანისაგან .	X	22
ხარისთვის უდიერი ვაჟა-ფშაველასი	X	30
ფოთლები (გადმოკეთებული) შ. მდვიმელისა . . .	XI	3
მდიდარი და ძუნწი ი. ბედიაშვილისა	XI	13
სურათი დუტუ-მეგრელისა	XII	3
მოთხრობები და წვრილი ამბები.		
პატარა იესო ლეგენდა (ფრანგულიდან) ან. წ—ისა.	I	9
პატარა მეგაზეთე (საახალწლო ამბავი) ნიკო ხუციშვილისა.	I	14
სიყვარულს რა არ შეუძლიან ეკ. კაბაშვილისა. . .	I	44

ს ა რ ჩ ე ვ ი

ბედნიერი დღე (რუსულიდან) სონა ციციშვილისა . .	I	56
მარო და მერცხალი იაკობ გოგებაშვილისა	II	3
ვაშლის ხე ან. წერეთლისა	II	8
საბრალო სანთლის თავგადასავალი (რუსულიდან) ან. წ ისა	II	20
ვერხვი ვაჟა-ფშაველასი	II	29
მზრუნავი დედა (ფრანგულიდან)	III	5
მოტი-გეჯის აჯანყება ივ. მ—ისა	III	7
ვანო და ჩიტი იაკობ გოგებაშვილისა.	III	22
ფოფოს მასწავლებელი (პოლონ.) ს. უუმისთაველისა .	III	25
პატარა მეცნიერნი მ. დემურიასი	III	33
მელო და ჯიბლიბო იაკობ გოგებაშვილისა	III	51
გულ-კეთილი გიგლო (ნამდვილი ამბავი) ვ. კაკ—ძისა.	IV	14
გულ-ქანის დედოფლები თ. რაზიკაშვილისა. . . .	V	5
მცირე რამ სათხოვარი თარგ. ბეს. ვაშაძისა . . .	V	16
მოწყალე დიტო დ. თომაშვილისა	V	42
ყმაწვილების თვით მოქმედება ამერიკაში თარგ. სამსონ საბაშიოელისა . . . , ...	V	37
ყვავილების გამყიდველნი ნიკო ხუციშვილისა . . .	VI	4
" " " " . . .	VII-VIII	3
ტობი თარგ. სონა ციციშვილისა	VI	14
სამი პეპელა თარგ. სამსონ საბაშიოელისა	VI	27
შავი მხედრობა თარგ. შალვა ტატიშვილისა. . . .	VI	36
მინდორი მკის დროს ეკ. გაბაშვილისა	VI	33
გალია (პოლონურიდან) ს. უუმისთაველისა	VII-VIII	13
ძაღლი და ქათამი კახ-იმერლისა	VII-VIII	17
ეკლიანი ბუჩქი კახ-იმერლისა.	VII-VIII	23
ზღვა მეძახის თარგმანი ლიზა მესხისა	VII-VIII	27
მურთუზას ძაღლი დ. ნინოწმინდელისა	VII-VIII	44
ტასიკოს მამაცობა მარიამ დემურიასი	VII-VIII	58
შურის ძიება (რუსულიდან) ქეთო ზარათაშვილისა . .	VII-VIII	65
ჩემი კაჭკაჭი ს. ბასიშვილისა	IX	5
ჩინური საათი (ფრანგულიდან) პეტრე მირიანაშვილისა.	IX	13
პატარა ექიმი კახ-იმერლისა	IX	16

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვანო და გულ-ყვითელა თარგ. სოხა ტიტიშვილისა . .	IX	20
გულ-ცივი ადამიანი მ. კლიმიაშვილისა	IX	46
„სურამის ციხე“ გ. წულუკიძისა	IX	54
ლიზა ქეთო ზარაფაშვილისა	X	5
მტრედი კ. ფრონისშირელისა	X	12
პატარა გმირი ან. წ—ლისა	X	17
ხარაბუზა და ჩხართვი ბ. ვაშაძისა	X	24
მოულოდნელი კავშირი (სურათი გიმნაზიის ცხოვრებიდან) ელ. წერეთლისა	X	33
არდაში და ელიზბარი (ძველი თქმულება) ეკ. მ—სა.	X, XI	47 44
პატარა მილიონერი (პოლონიურიდან) ა. ეუმისთაველისა	XI	5
ტყის მგელი და მინდვრის მგელი (თარგმანი) ეკ. მ—სა	XI	10
მოსწავლეთა შუამდგომლობა (თარგმანი) სოხა ტიტიშვილისა	XI, XII	15, 8
გრიგოლი გ. ბოკერიასი	XI	37
მიტოვებულნი (ვიქტორ ჰიუგოსი) ან. წ—ისა. . .	XII	4
პატარა ნებიერი (ამბავი) ან. ერისთავ-გოშტარიასი. .	XII	19
კოდალა (ამბავი) ო. რაზიკაშვილისა.	XII	24
გულმა გული იცნო (რუსულიდან) ან. წ—ისა. . .	XII	44
„მიფე მიდასს ღორის ყურები გამობმია!“ (ოვიდიუსიდან) ა. ეუმისთაველისა	XII	50

ი ს ტ ო რ ი ა.

თავდადებული ქართველი ეჯიბი (საქართველოს წარსულიდან) იაკობ გოგებაშვილისა	I	35
სამშობლოს სიყვარული ზელაგიაშვილისა	II	46
სამასი თავდადებული გლეხი იაკობ გოგებაშვილისა. .	IV	39
ტრანსვაალის ომი ა. ეუმისთაველისა	IV	49
მარიამ დედოფალი ა ეუმისთაველისა.	VII-IIIV	74
რუსის გლეხი გ. წულუკიძისა	XI	33

ცხოველთა ცხოვრებიდან.

ბუზი (რუსულიდან) ი. ა—სა	I	23

ეროვნული ბიბლიოთეკა

კენგურუ (საკვირველებანი ბუნებისა) ლადო ადნია-შვილისა	I	27
კრუხების ბრძოლა ქორთან იაკობ გოგებაშვილისა .	II	17
სწავლული ვირი ი. ს—სა	II	22
ჩვენი ზაფხულის სტუმრები ილიკოსი	III	32
ტოროლას ბარტყების სიყვარული იაკობ გოგებაშვილისა	IV	4
შავარდენი ილიკოსი	IV	8
ჩვენი ერთგული მეგობრები (ცხენი) ი. ს—სა . .	V	29
სად დაიკარგა ჩვენი ზღარბუნა? გადმოკეთებული კახიმერლისა	VI	12
მინდვრის თაგვები ან. წ—სა	X	26
ჩვენი ფრთოსანი მეგობრება ან. წ—სა	XI	26
გმირი ჭინჭველები ან. წ—სა	XI	54

ბუნების მეცნიერებიდან.

ჰაერში ფრენა ილიკოსი	I	40
„ „ „ „ „	II	59
„ „ „ „ „	III	46
„ „ „ „ „	IV	47
„ „ „ „ „	V	48
მდინარე ბაჩანასი	V	35
პატარა მოგზაურობა არჩილისა	VI	30
ქინაქინის ხე ილიკოსი	VII-VIII	38

ბიოგრაფია და ნეკროლოგი.

† გიორგი წერეთელი ი. ს—სა	I	3
პასკალის ოჯახი (დასასრული) ან. წ—სა	II	50
პირველი სარდალი რუსეთისა სუვოროვი გ. წუალ-ტუბელისა	VI	43
კოლბერი ან. წ - სა	X	52
„ „	XI	42

ეროვნული ბიბლიოთეკა

საღმრთო ისტორიიდან.

იესო ქრისტე ქორწილში გ. წულუტუბელისა . . .	II	26
იოანე ნათლის-მცემელი და მისი თავის მოკვეთა გ. წულუტუბელისა	X	36

ზღაპრები და იგავები.

მებაღე ალ. მ—სა	I	13
გლეხი და გველი ჩაწერილი გ. ახალციხელისა . . .	II	14
მესტვირე ალ. მ—შვილისა	II	28
მეურმე და მდინარე ი. ს—სა	III	30
ექვსი ამხანაგი გრიმის ზღაპარი თარგ. ლიზა მესხიშვილისა	IV	22
სამი ქურდი ვანჯ ლორთქიფანიძისა	V	14
ორგვარი ნატვრა ი. ს—სა	V	18
მერცხალი (ლეგენდა) თარგ. ინ-ანისა	V	20
რა მოხელეა ი. ს—ისა	VI	92
ორი ძმა ზღაპარი (ლ. ტოლსტოისა) თარგ. ი. გოგმელაურისა.	VII-VIII	19
მელა და მგელა გ. ახალციხელისა	VII-VIII	25
სულელი და ჭკვიანი ი. ს—ისა.	IX	18
გლეხი და გველი გ. ახალციხელისა	IX	30
ძმურათ გაყოფა (რუსულიდან) გ. ახალციხელისა . .	X	11

გ ა ს ა რ თ ო ბ ი.

დედა-მიწის ტრიალი	II	63
ფოსტის მარკები	III	57

წვრილმანი: პატარა მკითხველების წერილები, ხალხური ლექსები, ანდაზები, გამოცანები, არითმეტიკული გამოცანა, შარადა რებუსი და სხვა—ყველი ნომრის ბოლოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ОТКРЫТА ПОДПИСКА
НА 1901 Г.

на издающуюся въ Тифлисѣ политическую и литературную ежедневную газету

„НОВОЕ ОБОЗРѢНІЕ“.

(XVIII годъ изданія).

Газета будетъ выходить въ 1901 году подъ прежней редакціей и по прежней программѣ.

Съ цѣлью удовлетворить все болѣе развивающуюся потребность въ чтеніи, **ФОРМАТЪ** газеты съ конца нынѣшняго года будетъ **УВЕЛИЧЕНЪ**.

УСЛОВІЯ ПОДПИСКИ

съ доставкой и пересылкой:

На 12	мѣсяцевъ	. . . . .	10 р. — к.
„ 6	„	. . . . .	6 р. — к.
„ 5	„	. . . . .	5 р. 25 к.
„ 4	„	. . . . .	4 р. 75 к.
„ 3	„	. . . . .	3 р. 50 к.
„ 2	„	. . . . .	2 р. 75 к.
„ 1	„	. . . . .	1 р 50 к.

За границу: на годъ—17 р., на полгода—9 р., на 3 мѣсяца—5 р.

Для годовыхъ подписчиковъ, какъ городскихъ, такъ и иногородныхъ, обращающихся непосредственно въ контору редакціи, **ДОПУСКАЕТСЯ РАЗСРОЧКА** на слѣдующихъ условіяхъ: при подпискѣ вносится—3 р., къ 1-му марта—2 р. къ 1-му мая—3 р. и къ 1-му сентября—2 р. Для сельскихъ учителей льгота: подписная цѣна на годъ—7 р., на полгода—4 р.

Лица, подписывающіяся на будущій годъ, получаютъ газету въ нынѣшнемъ году безплатно.

Подписка принимается не иначе, какъ считая съ 1-го числа каждаго мѣсяца. Подписка принимается **въ Тифлисѣ, въ конторѣ газеты, Барятинская ул., д. № 8.**

Книги, издаваемыя редакціею, будутъ продаваться подписчикамъ „Нов. об“. съ уступкою 50%.

(3—1)